

უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი  
სისტემის შემოღება საქართველოში

**PhD Concept Paper**



თბილისი

2005

## PhD Concept Paper

### წინასიტყვაობა

განათლების, და კერძოდ უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში ძლიერი და თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. რეფორმა უამრავ ასპექტს მოიცავს, ერთ-ერთი მათგანია სამეცნიერო კადრების მომზადების ფორმატის შეცვლა და დოქტორანტურის საფეხურის შემოღება საუნივერსიტეტო განათლებაში.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS, თბილისი) ინიციატივითა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI, ბუდაპეშტი) მხარდაჭერით 2004 წლის მარტში დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა დოქტორანტურის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავება - საქართველოში დოქტორანტურის დანერგვისათვის საჭირო ეტაპები, აკადემიური ხარისხების არსებულ და ახალ სისტემათა შორის მიმართება, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური შინაარსის თავისებურებები, სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლის ინსტიტუციური საფუძვლები და ა.შ.

მუშაობის პროცესში მომზადდა ხუთი სიტუაციური ანალიზი (საექსპერტო შეფასება) მსოფლიოში არსებული დოქტორანტურის მოდელების შესახებ.

კონცეფციის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. 2004 წლის შემოდგომაზე მოეწყო სამი მრგვალი მაგიდა ექსპერტების მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სემინარი, სადაც პროფ. ბარი პარსონსონმა (ახალი ზელანდია) წარმოადგინა ინგლისურენოვანი ქვეყნების სადოქტორო პროგრამების მოდელები (იხ. დანართი II).

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის შედეგად შეიქმნა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასურველია საქართველოში დოქტორანტურის წარმატებული დანერგვისათვის.

მადლობას მოგახსენებ ყველას, ვინც პროექტში მონაწილეობდა.

ლიკა ღლონტი

*დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროექტის „სადოქტორო პროგრამების  
კონცეპტუალური დოკუმენტი“ კოორდინატორი*

## PhD Concept Paper

### კონცეფცია

#### • დოქტორანტურის მიზნები

დოქტორანტურის მთავარი მიზანია პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების აკადემიური ლიდერების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები, და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

უნივერსიტეტის PhD აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს ცოდნისა და უნარ-ჩვევების სამი ძირითადი ასპექტის განხორციელება უნდა შეეძლოს:

1. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია;
2. ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაცია;
3. ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაცია.<sup>1</sup>

#### • დოქტორანტურაში მიღების წესი

დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალები არიან, შესაბამისად დოქტორანტურაში საუკეთესო სტუდენტები უნდა იქნან მიღებული.

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი წინაპირობაა მაგისტრისა ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველს მაღალი აკადემიური მოსწრება უნდა ქონდეს.

მიღების სასურველი წინაპირობაა:

პირველი ვარიანტი – სამეცნიერო თემატიკის არსებობა და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობა. ეს არ გულისხმობს სადისერტაციო თემის ზუსტი დასახელების განსაზღვრას, მაგრამ დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა მკაფიოდ უნდა წარმოადგინოს მისი ინტერესების სფერო. სამეცნიერო ხელმძღვანელმა უნდა დაადასტუროს ამ სფეროში კვლევის წარმოების საშუალება.

მეორე ვარიანტი – ფაკულტეტი/დეპარტამენტი/კათედრა აცხადებს საკვლევ თემებს და სთავაზობს მათ მომავალ დოქტორანტებს. ნებისმიერ შემთხვევაში დოქტორანტი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კვლევისათვის აუცილებელი პირობებით და კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელით.

#### • დოქტორანტურის აკადემიური შინაარსი

ახალი ტიპის დოქტორანტურის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია სასწავლო კომპონენტის არსებობა.

დოქტორანტურა მოიაზრება როგორც სასწავლო-სამეცნიერო პროცესი, და არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევა.

<sup>1</sup> Preparing Stewards of the Discipline. Carnegie Initiative on the Doctorate.

სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს როგორც ცოდნის გაღრმავება, ასევე მისი გაფართოვება.

ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას.

**რა ვასწავლოთ?**

დისციპლინის საგნები  
კვლევის თანამედროვე მეთოდები  
შმაღლესი სკოლის პედაგოგიკა  
კომუნიკაცია და მენეჯმენტი

**როგორ ვასწავლოთ?**

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები  
სემინარული მუშაობა  
ინტერდისციპლინური მიდგომა

**• PhD სისტემაზე გადასვლის ინსტიტუციური წინაპირობები**

PhD სისტემაზე გადასვლის საკანონმდებლო წინაპირობები დარეგულირდა კანონით “შმაღლესი განათლების შესახებ”. რაც შეეხება ინსტიტუციონალურ პირობებს, აქ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი.

სადოქტორო პროგრამები ძირითადად ხორციელდება კვლევით უნივერსიტეტებში. დღევანდელ დღეს მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტებში არსებული ასპირანტურა პარალელურ სტრუქტურებს წარმოადგენენ. უნდა მოხდეს მათი დაახლოება/შერწყმა ან ერთობლივი მუშაობის პრინციპების შემუშავება.

უნდა შემუშავდეს სადისერტაციო საბჭოს ტიპური დებულება, რომელიც გააადვილებს სადოქტორო პროგრამების ხარისხის კონტროლს. სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროგრამულ აკრედიტაციას. საწყის ეტაპზე (და ალბათ მომავალშიც ქვეყნის სიმცირის გამო) გარდაუვალია უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა შეფასების პროცესში.

უნივერსიტეტებში უნდა შეიქმნას შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც სადოქტორო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელ პირობებს უზრუნველყოფს.

**• დოქტორანტურის დაფინანსება**

ახლად მიღებული კანონის თანახმად 2007 წლისათვის უნდა შემუშავდეს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დაფინანსების ახალი წესი. მანამდე შმაღლესი განათლების ეს ორი საფეხური დაფინანსდება უნივერსიტეტების სამეცნიერო გრანტების ხარჯზე.

ცხადია, რომ სადოქტორო პროგრამების მთავარი დამფინანსებელი საქართველოში უახლოეს მომავალში სახელმწიფო იქნება, თუმცა უნივერსიტეტებმა ახლავე უნდა იზრუნონ დოქტორანტურის დაფინანსების დამატებითი წყაროების მოპოვებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სავარაუდლოა ბევრი პროგრამის დახურვა.

ახალი სადოქტორო პროგრამების განფასების დროს დარგებს შორის განსხვავება უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება, რომ PhD პროგრამები ბაკალავრიატის პროგრამებთან შედარებით დაახლოებით სამჯერ მეტი ღირს.

## PhD Concept Paper

### განმარტებითი ბარათი

#### 1. შესავალი

განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების კეთილდღეობისა და დემოკრატიული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. სამეცნიერო მიღწევები, ტექნოლოგიური ცვლილებები, კულტურისა და ხელოვნების განვითარება თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია განათლების სრულყოფილი სისტემის გარეშე.

სახელმწიფოს კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე განათლებულ მოქალაქეებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის. უმაღლეს განათლებას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს დინამიური განვითარებისათვის.

უმაღლესი განათლების სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი სისტემის გარეშე საქართველო ვერ დაიკავებს ღირსეულ ადგილს თანამედროვე მსოფლიოში. დღეს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ძირეული რეფორმის წინაშე დგას.

2002 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება “უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ”; ხოლო 2004 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”.

ორივე დოკუმენტში განსაზღვრულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთო ევროპულ სივრცეში მოქცევა.

“გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლება საერთაშორისო ხასიათს იძენს. აუცილებელია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთო ევროპული განათლების სისტემის სივრცეში მოქცევა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიო-რული თანამშრომლობის საფუძველზე”<sup>2</sup>.

1999 წლის ივნისში ევროპის ოცდაცხრა ქვეყნის განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის ( უროპეან იგჰერ ლუცაგიონ რეა - EHEA) შექმნა 2010 წლისათვის. დღეისათვის ბოლონიის პროცესის წევრია

---

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ”

ევროპის ოცდაცამეტი ქვეყანა. საქართველო პრეტენდენტთა რიცხვს მიეკუთვნება და სავარაუდოდ ამ პროცესს 2005 წლის მაისში შეუერთდება.

ბოლონის დეკლარაციის ძირითადი აქცენტი თავსებადი და იოლად გასაგები აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღებაა ევროპის მასშტაბით: იგულისხმება უმაღლესი განათლების ორი საფეხურის – ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის – დანერგვა. ცხადია, რომ ბოლონის პროცესი გვერდს ვერ აუვლის დოქტორანტურის საკითხის განხილვასაც.

2000 წლის იანვარში ევროპის კომისიის წინადადებით პრინციპულად გადაწყდა კვლევისა და ინოვაციის ევროპული სივრცის (European Research and Innovation Area – ERIA) შექმნა, რომლის მიზანიცაა ევროპაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და მისი განვითარებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა.

სწორედ სადოქტორო პროგრამები უზრუნველყოფენ ამ ორ ევროპულ “სივრცეს” შორის პირდაპირ კავშირს: ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა ვერ შეიქმნება სათანადოდ მომზადებული მაღალი კლასის სპეციალისტების გარეშე.

დოქტორანტურის დანერგვის აუცილებლობა ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისათვის სრულიად ცხადია: 2003 წელს ბერლინში გამართულ შეხვედრაზე ევროპის 33 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა განაცხადეს, რომ

“აცნობიერებენ რა, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და კვლევის ევროპულ სივრცეს შორის უფრო ახლო კავშირების ხელშეწყობის აუცილებლობას, და მთელ ევროპაში კვლევების როგორც უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობას, მინისტრები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ბოლონის პროცესში ამჟამად არსებული უმაღლესი განათლების ორი ძირითადი საფეხურის გარდა მესამე საფეხურად შეიტანონ დოქტორანტურის დონე”.

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა დოქტორანტურის მიზნების დახვეწაზე. მაგალითისთვის გამოდგება თუნდაც UNESCO-CEPES პროექტი “სადოქტორო ხარისხი და კვალიფიკაცია უმაღლესი განათლებისა და კვლევისა და ინოვაციების საერთო ევროპული სივრცეების კონტექსტში” (*Doctoral Degrees and Qualifications in the Contexts of the European Higher Education Area (EHEA) and the European Research and Innovation Area (ERIA)*)<sup>3</sup>.

გვინდა რა დავიკავოთ ღირსეული ადგილი ევროპულ ოჯახში და შევუერთდეთ უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეს, ამთავითვე უნდა განვსაზღვროთ დოქტორანტურის ფუნქციები და მნიშვნელობა.

კანონში “უმაღლესი განათლების შესახებ” დოქტორანტურა განსაზღვრულია, როგორც

“ უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა,

<sup>3</sup> <http://www.cepes.ro/hed/policy/doctorate.htm>



რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.”

უმაღლესი განათლების მესამე საფეხური პრაქტიკულად ხელახლად ჩამოსაყალიბებელი. უნდა განისაზღვროს დოქტორანტურის დანერგვისათვის საჭირო ეტაპები, აკადემიური ხარისხების არსებულ და ახალ სისტემათა შორის მიმართება, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური შინაარსის თავისებურებები, სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლის ინსტიტუციური საფუძვლები და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვანია დოქტორანტურის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა ევროპაში მიმდინარე პროცესების ჭრილში და ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილების გაზიარება.

## 2. აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხების სისტემები

შეიძლება განვასხვავოთ აკადემიური ხარისხების ორი ძირითადი სისტემა:

- ინგლისურენოვანი ქვეყნების (და ეხლა სულ უფრო ფართოდ გავრცელებადი) სისტემა: ბაკალავრი (B.A./B.Sc.), მაგისტრი (M.A./M.Sc.) და ფილოსოფიის დოქტორი (PhD) – აშშ, დიდი ბრიტანეთი და ა.შ;
- კონტინენტური ევროპის ტრადიციული სისტემა: დიპლომირებული სპეციალისტი (Diplom), მეცნიერებათა კანდიდატი (Promotion), მეცნიერებათა დოქტორი (Habilitation) – გერმანია, აღმოსავლეთ ევროპა, დსთ.

შესაბამისად განსხვავდება აკადემიური წოდებებისა და თანამდებობების მიღების წინაპირობები: გერმანიაში აქამდე და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ ქვეყნების დიდ უმრავლესობაში დღესაც პროფესორის პოსტის დაკავებისათვის აუცილებელია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (დოცენტის თანამდებობა – მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი); მაშინ როდესაც ინგლისურენოვან ქვეყნებში ეს სხვა აკადემიური მაჩვენებლების (გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა, სტაჟი, სალექციო კურსები, მოზიდული გრანტები და ა.შ.) მიხედვით განისაზღვრება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინგლისურენოვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების საფეხურების ასეთი სისტემის არსებობა არ არის დაფიქსირებული არც ერთ კანონში – ეს უმაღლესი განათლების ტრადიციული მოდელია. გერმანიასა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი პირიქით, უმაღლესი განათლების საფეხურები, მინიჭებული აკადემიური ხარისხების რაობა, ზოგჯერ პროგრამების ხანგრძლივობა და აუცილებელი კრედიტების რაოდენობაც კი შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში (ძირითადად კანონში უმაღლესი განათლების შესახებ) ზუსტად არის განსაზღვრული. ასეთი დეტალიზაციის მიზეზი ძირითადად აკადემიური ხარისხების “კონტინენტური” სისტემიდან “ინგლისურენოვან” სისტემაზე გადასვლით აიხსნება.

ინგლისურენოვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია უნივერსიტეტების აბსოლუტური აკადემიური თავისუფლება და ავტონომია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული უნივერსიტეტი თავად განსაზღვრავს განათლების ამა თუ იმ საფეხურზე (მათ შორის დოქტორანტურაში) სტუდენტთა მიღების წესს, პროგრამების ხანგრძლივობას და სასწავლო/კვლევითი მუშაობის ფორმატს. მსგავსია სიტუაცია კონტინენტურ ევროპაშიც. უნივერსიტეტების ავტონომიის ზრდის ტენდენცია დსთ ქვეყნებშიც აღინიშნება, თუმცა ასპირანტურასთან მიმართებაში აქ ცენტრალიზებული კონტროლი არსებობს ე.წ. საატესტაციო კომისიების (მაგ. საქართველოში – სწავლულ ექსპერტთა საბჭო, რუსეთში – «Высшая Аттестационная Комиссия») სახით (იხ. ქვემოთ).

## **2.1. PhD პროგრამების ტიპები (მიღების წესი, აუცილებელი წინაპირობები, პროგრამის ხანგრძლივობა, განათლების ფორმატი, დაცვა)<sup>4</sup>**

### **აშშ**

დოქტორანტურა მხოლოდ უნივერსიტეტებში არსებობს. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა როგორც წესი მაგისტრის აკადემიური ხარისხის ქონა, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში ამის უფლება ბაკალავრებსაც ეძლევათ. ყოველი უნივერსიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს დოქტორანტურაში მიღების წესს, კურიკულუმს, კრედიტების რაოდენობას და ა.შ. ერთიანი მოდელი არ არსებობს. ტრადიციულად, დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი პუბლიკაციების ქონა. PhD პროგრამების ხარისხის კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლის ინსტიტუციური აკრედიტაციის დროს. პროგრამული აკრედიტაცია პროფესიული ორგანიზაციების მიერ ხორციელდება მხოლოდ გარკვეულ სფეროებში, მაგ. კლინიკური ფსიქოლოგია (დეტალებისათვის იხ. დანართი II).

### **გაერთიანებული სამეფო**

დოქტორანტურა მხოლოდ უნივერსიტეტებში არსებობს. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა, როგორც წესი, მაგისტრის აკადემიური ხარისხის ქონა, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში ამის უფლება ბაკალავრებსაც ეძლევათ. დიდი ბრიტანეთის სისტემა პრინციპულად არ განსხვავდება აშშ-ში არსებული სისტემისაგან, თუ არ ჩავთვლით დოქტორანტურის პროგრამების ხანგრძლივობას და კრედიტების რაოდენობას ცალკეულ სფეროებში (დეტალებისათვის იხ. დანართი II).

<sup>4</sup> ქვეყნების შერჩევა მოხდა შემდეგი პრინციპით: აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიისპირეთი, დსთ.



## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

დოქტორანტურა მხოლოდ უნივერსიტეტებში არსებობს. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა უმაღლესი განათლების დიპლომის ქონა. მისაღები გამოცდა არ არსებობს. მიღების აუცილებელი წინაპირობაა სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა. მისაღები ე.წ. შესაბამისობის გამოცდა (Zulassungsprüfung) მხოლოდ იმ შემთხვევაში ბარდება, თუ მსურველი სხვა ფაკულტეტის დოქტორანტურაში შედის (მაგ. ბიოლოგი მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურაში). დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუმცა ბოლო დროს შეიმჩნევა ვადების გამკაცრების ტენდენცია. ძირითადად დოქტორანტს 3 წელი ეძლევა ნაშრომის დასრულებისათვის. დაცვის წინაპირობას პუბლიკაციების არსებობა არ წარმოადგენს. სადოქტორო პროგრამების კურიკულუმი, კრედიტები და ა.შ. არ არსებობს. ტრადიციულად დოქტორანტურაში “სწავლა” ძირითადად სამეცნიერო კვლევას გულისხმობს. ბოლო დროს გაჩნდა ე.წ. “Graduierten-kolleg”, სადაც წარმატებულ დოქტორანტებს იღებენ, რომელთაც ლექციების ციკლი ეკითხებათ როგორც მაპროფილებელ, ასევე ზოგად საგნებში (მაგ. რიტორიკა, პრეზენტაციის ტექნიკა და ა.შ.). 2002 წლამდე გერმანიაში პროფესორის წოდების მოპოვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ჰაბილიტაციის (შეესაბამება ჩვენს მეცნიერებათა დოქტორს) ქონა. ეს სისტემა იძულებულს ხდიდა ბევრ ახალგაზრდა მეცნიერს, დაეტოვებინა ქვეყანა და დამოუკიდებელი მუშაობის მიზნით აშშ-ში გადასულიყო. ინტელექტის გადინების თავიდან აცილების მიზნით ორი წლის წინ შემოიღეს ე.წ. “Juniorprofessur” – ახალგაზრდა პროფესორთა ინსტიტუტი, როდესაც ახალგაზრდა წარმატებულ მეცნიერებს, რომელთაც მხოლოდ პირველი სამეცნიერო ხარისხი აქვთ (Promotion – შეესაბამება ჩვენს მეცნიერებათა კანდიდატს) ეძლევათ უფლება დაიკავონ პროფესორის თანამდებობა და დამოუკიდებლად აწარმოონ კვლევა საკუთარ სამუშაო ჯგუფთან ერთად<sup>5</sup>.

## უნგრეთი

დოქტორანტურა არსებობს როგორც უნივერსიტეტებში, ასევე მეცნიერებათა აკადემიის სისტემის კვლევით ინსტიტუტებში. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა, როგორც წესი, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (იგულისხმება დიპლომირებული სპეციალისტი) ქონა. სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი არ არსებობს, განსაზღვრულია მხოლოდ კანდიდატის გამოცდები ორ უცხო ენაში, ორი ზეპირი გამოცდა პროფესიულ საგნებში და დისერტაციის საჯარო დაცვა. PhD აკადემიური ხარისხის შემოვიდა 1993 წელს, მაგრამ მის პარალელურად შენარჩუნებულია Doctor Habilitatus-ის ხარისხიც, რომელიც ენიჭება PhD ხარისხის მქონე მეცნიერებს ჰაბილიტაციის დისერტაციის დაცვის შემდეგ. პროფესორის მიღების აუცილებელი წინაპირობა სწორედ Dr. Hab. ხარისხია. ამ ხარისხებს ანიჭებს უნივერსიტეტი. გარდა ამისა, არსებობს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორის (Doctor of Hungarian Academy of Sciences) ტიტული, რომლის მინიჭების ექსკლუზიური უფლება მეცნიერებათა აკადემიას გააჩნია. აკადემიის

<sup>5</sup> Zwei Jahre Juniorprofessur. F.Buch. 2004

წევრებად მხოლოდ ამ ტიტულის მქონე პირებს ირჩევენ, რაც შესაბამისად ამ ხარისხის მიღების მსურველთა რიცხვს ზრდის და პარალელურად საკმაოდ აკნინებს უნივერსიტეტების მიერ მინიჭებულ ხარისხთა პრესტიჟულობას (მეცნიერებათა აკადემია უნგრეთში გავლენიანი და ანგარიშგასაწვი სტრუქტურა).

### სლოვენია

სლოვენიაში (მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონი) სულ ორი უნივერსიტეტი და ცხრა კერძო უმაღლესი სასწავლებელია. უმაღლესი განათლება რეგულირდება 1993 წელს მიღებული კანონით (შესწორებები შევიდა 1999 და 2001 წლებში). სლოვენიაში სადოქტორო პროგრამები აშშ მოდელის მიხედვითაა ორგანიზებული: სადოქტორო პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებთან ერთად. ბაკალავრიატის შემდეგ სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ კი – 2 წელი. სტუდენტებს შეუძლიათ დაიწყონ სწავლა დოქტორანტურაში, მაგრამ 2 წლის შემდეგ მაგისტრის ხარისხი მიიღონ და სწავლა შეწყვიტონ. სადოქტორო პროგრამები მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ: თუ ბაკალავრიატის საფეხურზე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა უფასოა, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე სტუდენტები სწავლის საფასურს თავად იხდიან. ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურზე სტუდენტთა მიღების წესი განისაზღვრება თავად უნივერსიტეტების მიერ.

### ლატვია

დოქტორანტურა არსებობს როგორც უნივერსიტეტებში, ასევე კვლევით ინსტიტუტებში, თუმცა გამოკვეთილია უნივერსიტეტის პრიორიტეტულობა. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა, როგორც წესი, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (იგულისხმება დიპლომირებული სპეციალისტი) ქონა. დოქტორანტურაში მიღების წესს თავად უნივერსიტეტი განსაზღვრავს. 1999 წლამდე არსებობდა ჰაბილიტაცია, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობის შესახებ კანონში შესული ცვლილებების შემდეგ PhD გახდა უმაღლესი აკადემიური ხარისხი. ლატვიაში შენარჩუნებულია სეს-ის ანალოგი – ლატვიის სამეცნიერო საბჭო, რომელიც სადისერტაციო საბჭოებს ქმნის.

### ლიტვა

დოქტორანტურა მხოლოდ უნივერსიტეტებში არსებობს, თუმცა კანონით უმაღლესი განათლების შესახებ დაშვებულია სადოქტორო ნაშრომის ნაწილის შესრულება სხვა კვლევით დაწესებულებებშიც; დისერტაციის დაცვა და ხარისხის მინიჭება მხოლოდ უნივერსიტეტის პრეროგატივაა. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა როგორც წესი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (იგულისხმება დიპლომირებული

სპეციალისტი) ქონა. განსაზღვრულია დოქტორანტურაში საგნების რაოდენობა, სწავლის ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ლიტვაში 2000 წლიდან დაინერგა სწავლების ბინარული სისტემა (B+M) და შემოვიდა PhD აკადემიური ხარისხი, მაინც შენარჩუნებულია ე.წ. ჰაბილიტაცია, რომელიც ქვეყანაში უმაღლეს აკადემიურ ხარისხს წარმოადგენს (Doctor Habilitatus) და ენიჭება PhD ხარისხს მქონე მეცნიერებს ჰაბილიტაციის დისერტაციის, მონოგრაფიისა და/ან მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ.

### ესტონეთი

დოქტორანტურის საფეხური ესტონეთის რიგ უნივერსიტეტებში შემოღებულ იქნა 90-იანი წლების ბოლოს, ხოლო ოფიციალურად დაკანონდა 2002 წელს მიღებული კანონით. დოქტორანტურა მხოლოდ უნივერსიტეტებში არსებობს. დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი წინაპირობაა, როგორც წესი, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (იგულისხმება დიპლომირებული სპეციალისტი) ქონა. უნივერსიტეტებში შემუშავებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმი (მინიმუმ 70% - სამეცნიერო ნაშრომი, დანარჩენი - სასწავლო კომპონენტი), განსაზღვრულია ამ პროგრამის კრედიტების რაოდენობა (PhD პროგრამის დასრულებისათვის აუცილებელია 160 კრედიტი, საიდანაც 40 კრედიტი ფარავს სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 – სამეცნიერო მუშაობას). სადოქტორო პროგრამის ნომინალური ხანგრძლივობაა ოთხი წელი. PhD ხარისხის მირებისათვის აუცილებელია პუბლიკაციები. დოქტორანტურის პროგრამები გადიან აკრედიტაციის პროცედურას.

### რუსეთის ფედერაცია

ასპირანტურა (მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვებისათვის) და დოქტორანტურა (მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვებისათვის) არსებობს, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. ასპირანტურაში შესვლის აუცილებელი წინაპირობაა დიპლომის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (როგორც წესი იგულისხმება მაგისტრის ხარისხი) ქონა. დოქტორანტურაში შესვლის აუცილებელი წინაპირობაა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის ქონა. არსებობს ასპირანტურისა და დოქტორანტურის სხვადასხვა ტიპები:

- დასწრებული
- დაუსწრებელი
- მიზნობრივი, საწარმოდან მოწყვეტით
- მიზნობრივი, საწარმოდან მოწყვეტის გარეშე

გარდა ამისა, არსებობს ე.წ. მაძიებელთა ინსტიტუტი. მეცნიერებათა დოქტორი უმაღლესი სამეცნიერო ხარისხია და პროფესორის წოდების მიღების აუცილებელი წინაპირობა.

რუსეთში შენარჩუნებულია სსრკ დროს არსებული სისტემა, ანუ საჯარო დაცვა უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ შედგენილი კომისიის წინაშე,

ოპონენტები, რეცენზენტები, დაცვის შედეგების დამოწმება ამავე უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ და ა.შ. უახლოეს მომავალში ამ სისტემის რეფორმა არ იგეგმება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შეუერთდა ბოლონის პროცესს.

## 2.2. სამეცნიერო ხარისხების წარსული და აწმყო საქართველოში

საქართველოში ასპირანტურა (მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვებისათვის) და დოქტორანტურა (მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვებისათვის) არსებობს როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, თუმცა ასპირანტთა ძირითადი მასა მაინც უნივერსიტეტებშია თავმოყრილი (ცხრილი 1). ასპირანტურაში შესვლის აუცილებელი წინაპირობაა დიპლომის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (მაგისტრი) ქონა. დოქტორანტურაში შესვლის აუცილებელი წინაპირობაა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის ქონა. სისტემა აბსოლუტურად ანალოგიურია რუსეთში არსებული სისტემისა: არ არსებობს ასპირანტურის და დოქტორანტურის კურიკულუმი, შესაბამისად არაა განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, ასპირანტურაში “სწავლა” გულისხმობს ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას. აუცილებელია პუბლიკაციები, დისერტაციის დაცვა საჯარო სადისერტაციო საბჭოს წინაშე, დაცვის შედეგები მოწმდება სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ. ასპირანტურაში დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების გარდა, არსებობს ე.წ. მაძიებელთა ინსტიტუტიც.

### ცხრილი 1.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.


|                             | <b>2000</b>          | <b>2001</b>          | <b>2002</b>          |
|-----------------------------|----------------------|----------------------|----------------------|
| ასპირანტთა საერთო რაოდენობა | <b>1747</b>          | <b>1709</b>          | <b>1765</b>          |
| უმაღლეს სასწავლებლებში      | <b>1356</b><br>77,6% | <b>1268</b><br>74,2% | <b>1380</b><br>78,2% |
| კვლევით ინსტიტუტებში        | <b>391</b><br>22,4%  | <b>441</b><br>25,8%  | <b>385</b><br>21,8%  |

1994 წლიდან საქართველოში ტრადიციული ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მოდელის პარალელურად დაინერგა სწავლის ახალი ფორმები: ზოგიერთ სპეციალობაზე მიმდინარეობს სწავლება ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხების მისაღებად. მაგრამ არ შეცვლილა სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ძველი ორსაფეხურიანი სისტემა: კანონის თანახმად 2006 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება, ე.ი. ამჟამად პრაქტიკულად მოქმედებს აკადემიურ ხარისხთა ოთხსაფეხურიანი (ბაკალავრი – მაგისტრი - მეცნიერებათა კანდიდატი - მეცნიერებათა დოქტორი) სისტემა (იხ. სქემა.1).





სქემა. 1. აკადემიური (და სამეცნიერო) ხარისხების სისტემები  
A) ინგლისურენოვან ქვეყნებში; B) საქართველოში.



სამეცნიერო ხარისხების მინიჭება რეგულირდება სპეციალური დებულებით, რომლის განახლებული ვარიანტი პრეზიდენტ ე.შევარდნაძის ბრძანებულებით 2003 წლის 28 ივნისს დამტკიცდა. იგივე დებულება და ინსტრუქცია არეგულირებს საქართველოში სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებების მინიჭებას.

ამ დებულების თანახმად:

„საკანდიდატო ნაშრომი უნდა მოიცავდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ თეორიულ ან ექსპერიმენტულ შედეგებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერების შესაბამისი დარგისათვის;

მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა იყოს დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელშიც გადაწყვეტილია სამეცნიერო პრობლემა (პრობლემები) და მიღებულია

შესაბამის დარგში არსებული საერთაშორისო დონის შედეგები“.<sup>6</sup>

თუ გადავხედავთ ბოლო წლებში საკანდიდატო და განსაკუთრებით სადოქტორო დისერტაციების დაცვის სტატისტიკას, შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოში “საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტილი სამეცნიერო პრობლემების” საკამოდ შთამბეჭდავი რაოდენობაზე (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

|                                    | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|------------------------------------|------|------|------|------|
| მეცნიერების კანდიდატების რაოდენობა | 6269 | 5067 | 4926 | 5998 |
| მეცნიერების დოქტორების რაოდენობა   | 1818 | 1464 | 1381 | 1811 |

საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებების მიკუთვნების დამოუკიდებელი სისტემა უკვე ათი წელია რაც მოქმედებს. მთავარი სტრუქტურა, რომელიც ამ პროცესს ხელმძღვანელობს, არის სწავლულ ექსპერტთა საბჭო (სეს-ი), რომელიც სადისერტაციო საბჭოებთან ერთად (ამჟამად საქართველოში სადისერტაციო საბჭოების რიცხვმა 100 გადააჭარბა) ახორციელებს ქვეყანაში უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების ატესტაციის სახელმწიფო პოლიტიკას.

სეს-ის თავმჯდომარესთან, მის ორ მოადგილესთან და სეს-ის მთავარ სწავლულ მდივანთან ერთად სეს-ის საერთო კრება 37 წევრს ითვლის.

სეს-ის მიერ შემუშავებული დებულება საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ განსაზღვრავს დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა, საკანდიდატო გამოცდების რაოდენობა, მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი, დისერტაციის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში, მისი საჯარო დაცვა, დიპლომების გაფორმება და გაცემა და ა.შ.

დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად საქმიანობას წარმართავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო, ხოლო სეს-ი

“სამეცნიერო ხარისხების მინიჭების დამადასტურებელ დიპლომს რეგისტრაციაში ატარებს და გასცემს ... დისერტაციის დაცვის დღიდან სამი თვის შემდეგ”.<sup>7</sup>

ზემოთ მოყვანილი პროცედურების დაცვის შემდეგ სეს-ის მიერ გაცემულმა დიპლომმა უნდა დაადასტუროს სამეცნიერო კადრების უმაღლესი კვალიფიკაცია. სინამდვილეში ყველამ იცის, და ამას ბოლო დროს თავად სეს-

<sup>6</sup> დებულება საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ. მუხლი 4, პუნქტები 2,3.

<sup>7</sup> დებულება საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ. მუხლი 7, პუნქტი 1.

იც აღიარებს, რომ საქართველოში დაცული დისერტაციების დიდი რაოდენობის ხარისხი ნამდვილად არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს.

როგორც სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი გიორგი ხარაძე აღნიშნავს, ხშირად ვერ ხერხდება სეს-ის მოთხოვნების შესრულება და დისერტანტების შრომები არ ქვეყნდება მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში:

“გასათვალისწინებელია, რომ მიზეზთა გამო (ენობრივი ბარიერი, გავრცელების არეალის შეზღუდულობა) იმპაქტ-ფაქტორების ჟურნალების ნუსხაში არ ხვდებოდა (და ამჟამადაც არ ხვდება) რიგი სამეცნიერო გამოცემებისა, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ვრცელდებოდა.”<sup>8</sup>

იქვე აღნიშნულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერთა პრობლემებიც:

“შეტად მტკივნეული საკითხია იმ ახალგაზრდა მკვლევართა სამომავლო ბედი, რომლებიც ამჟამად ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეწევიან საქმიანობას მაღალი დონის სამეცნიერო გარემოში. საქართველოში მეცნიერების მომავალი დიდად არის დამოკიდებული იმგვარი პირობების შექმნაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდა კვალიფიცირებულ მეცნიერთა დაბრუნებას სამშობლოში და ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. ამ პირობებს შორის უპირველესია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო გარემოს ჩამოყალიბება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ საქართველოში დაბრუნებულ ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებსაც სეს-ის ამჟამინდელი მოთხოვნები “გადაჭარბებით” აქვთ შესრულებული, სამუშაო ადგილები დაკავებული დახვდებათ”.

ინტელექტის გაღივების მიზეზი ნამდვილად არის შეუსაბამო სამეცნიერო გარემო და დაბალი ანაზღაურება. მაგრამ ის, რომ ახალგაზრდობის რაოდენობა მეცნიერების სფეროში მცირდება, მხოლოდ ამით არ აიხსნება.

სამეცნიერო ხარისხების არსებული სისტემა განსაზღვრავს პროფესორ-მასწავლებელთა ძალზედ მაღალ საშუალო ასაკს საქართველოში: 64 წელი (ცხრილი 3), მაშინ როდესაც ინგლისურენოვან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 45 წელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელ რიგ კათედრებზე 65 წელზე უფროსი პროფესორ-მასწავლებლები კათედრის თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 70-80%-ს შეადგენენ. ახალგაზრდა მეცნიერები შეზღუდული არიან დამოუკიდებელი კვლევის წარმოებაში, არ შეუძლიათ თანაბარი პოზიციების დაკავება უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ცენტრებში, რაც მათ ხშირად სამეცნიერო მუშაობისა და/ან ქვეყნის დატოვებისაკენ უბიძგებს.

<sup>8</sup> [www.acnet.ge](http://www.acnet.ge)

ცხრილი 3. საქართველოს მეცნიერთა ასაკობრივი მაჩვენებლები.  
50 წელზე უფროსია მეცნიერების დოქტორთა 85%. თუ გაითვალისწინებთ, რომ პროფესორის თანამდებობის დაკავების უფლება ძირითადად სწორედ მეცნიერებათა დოქტორებს აქვთ, მდგომარეობის სირთულე ცხადი გახდება.  
წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

| ასაკი | მეც. დოქტორი | მეც. კანდიდატი |
|-------|--------------|----------------|
| სულ   | 1428         | 5074           |
| -29   | -            | 77 – 1.5%      |
| 30-39 | 33 – 2%      | 509 – 10%      |
| 40-49 | 181 – 13%    | 1086 – 21%     |
| 50-59 | 374 – 26%    | 1433 – 28%     |
| 60-69 | 438 – 31%    | 1340 – 26.5%   |
| 70+   | 402 – 28%    | 629 – 13%      |

### 2.2.1. უმაღლესი განათლების რეფორმის ძირითადი მიმართულებები

მზარდი კონკურენცია და ტექნოლოგიური სიახლეების აუცილებლობა ამცირებს ქართული მეცნიერების (და ეკონომიკის) კონკურენტუნარიანობას. ამაში არც თუ მცირე წვლილი მიუძღვის საქართველოს უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებულ პროგრამებს, რომლებიც ნაკლებად კონკურენტუნარიანია უცხოურთან შედარებით.

ახალმა დრომ ახალი მოთხოვნები წაუყენა უმაღლეს განათლებას. ის მოქნილი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს თანამედროვე საქართველოსათვის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის მქონე კადრების მომზადება.

უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირებისას საქართველომ უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოში წამყვანი და წარმატებული საგანმანათლებლო ცენტრების გამოცდილება.

კანონში “უმაღლესი განათლების შესახებ” ჩამოყალიბებულია სისტემის რეფორმის ძირითადი ასპექტები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება;
- უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის შეცვლა;
- უმაღლესი განათლების გადაყვანა სამსაფეხურიან სისტემაზე: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა მკაფიოდ მიჯნავს შესაბამისი საფეხურების კომპეტენციებს და შრომის ბაზართან მათ მიმართებას.

„ბაკალავრიატი – უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხური – ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის, ან ისეთი პროფესიის ასათვისებლად, რომელიც სტუდენტისგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალ საწყისს მომზადებას მოითხოვს.

მაგისტრატურა - უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური – ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას“.<sup>9</sup>

კანონის თანახმად დოქტორანტურა არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პროფესიული მომზადების დამამთავრებელი საფეხური, რომლის მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის მქონე პირს. კანონი განსაზღვრავს დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობას (კრედიტების მითითებით), ხარისხის მინიჭების პირობებსა და წესს. კანონის გარდამავალ დებულებებში მოცემულია უმაღლესი განათლების სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლის ვადები.

კანონი ძალაში შევიდა 2004 წლის 21 დეკემბერს და აუცილებელი ხდება დოქტორანტურის დანერგვისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რათა სამეცნიერო ხარისხების ორსაფეხურიანიდან ერთსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა უმტკივნეულოდ განხორციელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტურის შემოღებას კანონი ცალსახად განსაზღვრავს, მოწინააღმდეგეთა რაოდენობა მაინც დიდი იქნება. მათი ძირითადი არგუმენტია კონტინენტური ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) სამეცნიერო ხარისხების ორსაფეხურიანი სისტემის ჯერ კიდევ არსებობა.

კონტრარგუმენტი: მსოფლიოში ყველაზე წარმატებულად აღიარებულია ინგლისურენოვანი ქვეყნების, კერძოდ აშშ და გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამები. მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში სწორედ ამ ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლები იკავებენ პირველ ადგილებს<sup>10</sup>. ეს ევროპის სხვა ქვეყნებმაც აღიარა და ამჟამად იქ მიმდინარე რეფორმები სწორედ ამერიკულის მსგავსი უმაღლესი განათლების სისტემის შექმნას გულისხმობს, რათა გაზარდოს ევროპის უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

<sup>9</sup> საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ მუხლი 2.  
<sup>10</sup> Martin Walker “Situation in European Universities” (2004).



ევროპის მრავალ ქვეყანაში სადოქტორო პროგრამები დღეს პარადოქსულ სიტუაციაშია. ერთის მხრივ, აღინიშნება სადოქტორო პროგრამებისადმი ინტერესის შემცირება ისეთ პროფესიებში, რომლებიც არ არის მხოლოდ კვლევაზე ორიენტირებული. მეორეს მხრივ, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა მოითხოვს მაღალი ხარისხის პროფესიონალების მომზადებას, რაც თავისთავად გულისხმობს შესაბამისი სადოქტორო პროგრამების განვითარებას. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის უნივერსიტეტებში პროფესორთა ასაკობრივი მაჩვენებლები საგანგაშო ზღვარს აღწევს და ახალი კადრების აუცილებლობის საკითხი აქაც აქტუალურია<sup>11</sup>.

საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, ამთავითვე მხარი აუბას უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს და შუალედური ეტაპების გავლის გარეშე პირდაპირ ჩამოაყალიბოს ყველაზე უფრო წარმატებული უნივერსიტეტების მაგალითზე დოქტორანტურის სიცოცხლისუნარიანი და ეფექტური სისტემა.

### **3. დოქტორანტურა, როგორც უმაღლესი განათლების მესამე საფეხური**

#### **3.1. დოქტორანტურის მიზნები**

დოქტორანტურის მთავარი მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების ლიდერები იქნებიან, რომლებსაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები, და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით<sup>12</sup>.

მაშასადამე უნივერსიტეტის PhD აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს ცოდნისა და უნარ-ჩვევების სამი ძირითადი ასპექტის განხორციელება უნდა შეეძლოს:

- ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია
- ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაცია
- ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაცია

#### **ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია**

PhD, თავისი არსითა და შინაარსით, სამეცნიერო ხარისხია. კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი ამ ხარისხის მქონე სპეციალისტთა მთავარი მახასიათებელია. კვლევისა და ძიების შედეგად ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა საშუალებას აძლევს ლიდერ პროფესიონალს შეაფასოს, გააკრიტიკოს და დაიცვას მოპოვებული ცოდნა. ლიდერს უნდა შეეძლოს

<sup>11</sup> Doctoral Degrees and Qualifications in the Contexts of the European Higher Education Area (EHEA) and the European Research and Innovation Area (ERIA)

<sup>12</sup> Preparing Stewards of the Discipline. Carnegie Initiative on the Doctorate

გადამწვევები კითხვების დასმა. ტრადიციულად, სწორედ ეს არის სადოქტორო განათლების მთავარი ასპექტი: კრიტიკული კითხვების ჩამოყალიბება ახალი ცოდნის ძიებაში.

### ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაცია

პროფესიულ სფეროში ლიდერობის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მახასიათებელია დისციპლინის ისტორიისა და ძირითადი იდეების გაგება, გათავისება. მეცნიერული დისციპლინა მუდმივად ვითარდება და იცვლება; ლიდერის პასუხისმგებლობაა, შეინარჩუნოს ცოდნის, დარგის უწყვეტობა და სიცოცხლისუნარიანობა. დოქტორს უნდა ესმოდეს დისციპლინის საფუძვლები, უნდა იცოდეს, რომელი იდეის შენარჩუნება ღირს და რომლის არა. უფრო მეტიც, დოქტორს უნდა ესმოდეს, თუ როგორ თავსდება მისი სამეცნიერო კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეში, მან უნდა იცოდეს მონათესავე და სხვა სამეცნიერო სფეროების ძირითადი საკითხები, და უნდა ესმოდეს, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს სხვა დარგების წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინური კვლევის დროს.

### ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაცია

დაბოლოს, დოქტორის კვალიფიკაციის აუცილებელი ასპექტია ცოდნის ტრანსფორმირების უნარი: მოპოვებული ცოდნის ეფექტური და გასაგები ფორმით პრეზენტირება. ცოდნის ტრანსფორმაცია გულისხმობს სწავლებას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. სამეცნიერო კვლევის გარდა დოქტორის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვალეობაა მიღებული ცოდნის გადაცემა მომავალი თაობებისათვის. სწავლების ორგანიზაციის ფორმას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა: ეს შეიძლება იყოს საუნივერსიტეტო ლექციები და სემინარები, პოლიტიკური თუ სამრეწველო თავყრილობები – დოქტორს, როგორც თავისი დისციპლინის ლიდერს, უნდა შეეძლოს კომუნიკაცია ნებისმიერ დონეზე როგორც პროფესიულ, ისე ფართო საზოგადოებასთან და შესაბამისი ინფორმაციის გასაგებად მიწოდება ყველა დაინტერესებულ მხარისათვის.

ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ფორმაა მათი პრაქტიკაში დანერგვა. დოქტორს უნდა ესმოდეს მისი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები.

ზემოთ ჩამოთვლილიდან ცხადია, რომ მოთხოვნები დოქტორების მიმართ ძალიან მაღალია. PhD ხარისხის მქონე სპეციალისტი უნდა ცდილობდეს როგორც წარსულში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შენახვას, ასევე სამომავლო პროექტების განვითარებას, რათა უზრუნველყოს მისი სამეცნიერო კვლევების სფეროს, აკადემიური დისციპლინის მუდმივი განახლება. დოქტორების ამოცანაა ასევე ლიდერების მომავალი თაობების აღზრდა.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ იქნება ორგანიზებული დოქტორების მომზადების პროცესი.



## 3.2 დოქტორანტურაში მიღების წესი

დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალები არიან, შესაბამისად დოქტორანტურაში საუკეთესო სტუდენტები უნდა იქნან მიღებული.

მიღების წესი სხვადასხვა ქვეყნებში დიდად არ განსხვავდება: დოქტორანტურაში მიიღება მაგისტრისა ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი; მისაღები გამოცდების აუცილებლობას განსაზღვრავს შესაბამისი უმაღლესი სასწავლებელი და/ან მისი ფაკულტეტი. როგორც წესი, ინგლისურენოვან ქვეყნებში დოქტორანტებს მიღების მომენტში არ აქვთ განსაზღვრული სადისერტაციო თემა: თემის შერჩევა ძირითადად ხდება დოქტორანტურაში სწავლების პირველი წლის ბოლოს.

საქართველოში, მაგ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში დღის დასწრებული სწავლების ფორმაზე მიიღებიან 35 წლამდე მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და არჩეული სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი<sup>13</sup>, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც: მიმდინარე წლის კურსამთავრებულებმა უნდა წარმოადგინონ საასპირანტო რეკომენდაცია, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭო გასცემს. მიზნობრივი წესით მოვლენილ ასპირანტებს მოეთხოვებათ ორი სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა. ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ მისაღები გამოცდას სპეციალურ საგანში, უცხო ენასა და კომპიუტერში. სადისერტაციო თემის სათაური მტკიცდება ასპირანტურაში შესვლისთანავე, თუმცა არსებობს მისი შემდგომში შეცვლის საშუალებაც.

### რეკომენდაცია

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი წინაპირობაა მაგისტრისა ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველს მაღალი აკადემიური მოსწრება უნდა ქონდეს.

მიღების სასურველი წინაპირობაა სამეცნიერო თემატიკის არსებობა და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობა. ეს არ გულისხმობს სადისერტაციო თემის ზუსტი დასახელების განსაზღვრას, მაგრამ დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა მკაფიოდ უნდა წარმოადგინოს მისი ინტერესების სფერო. სამეცნიერო ხელმძღვანელმა უნდა დაადასტუროს ამ სფეროში კვლევის წარმოების საშუალება.

შესაძლოა მეორე ვარიანტი: ფაკულტეტი/დეპარტამენტი/კათედრა აცხადებს საკვლევ თემებს და სთავაზობს მათ მომავალ დოქტორანტებს. ნებისმიერ შემთხვევაში დოქტორანტი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კვლევისათვის აუცილებელი პირობებით და კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელით.

სადისერტაციო თემის, და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხი უნდა დარეგულირდეს თითოეული უნივერსიტეტის მიერ

<sup>13</sup> [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)

ინდივიდუალურად შემუშავებული წესის მიხედვით. აქ აუცილებლად უნდა იქნეს დაცული მთავარი პრინციპი: თემის შეცვლა დოქტორანტურაში სწავლის ბოლო წელს იწვევს სწავლის/კვლევის ხანგრძლივობის ავტომატურ გაზრდას.

### 3.3. დოქტორანტურის აკადემიური შინაარსი

ახალი ტიპის დოქტორანტურის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია სასწავლო კომპონენტის არსებობა.

დოქტორანტურა ინგლისურენოვან ქვეყნებში მოიაზრება როგორც სასწავლო-სამეცნიერო პროცესი, და არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევა, როგორც ეს ტრადიციულად მიღებულია სხვა ქვეყნებში.

სასწავლო კომპონენტი დოქტორანტურის დონეზე შედარებით უცხოა საქართველოს უნივერსიტეტებისათვის, თუმცა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ასპირანტურაში ისწავლებოდა ფილოსოფია და უცხო ენა. დღეს სასწავლო პროცესის გარეშე ასპირანტებს პირდაპირ ეთხოვებათ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში.

დღევანდელ დღეს მართებულად ისმის კითხვა: რა და როგორ ვასწავლოთ დოქტორანტურაში?

სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს როგორც ცოდნის გაღრმავება, ასევე მისი გაფართოვება.

#### რა ვასწავლოთ?

1. დისციპლინის საგნები
2. კვლევის თანამედროვე მეთოდები
3. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა
4. კომუნიკაცია და მენეჯმენტი

#### როგორ ვასწავლოთ?

1. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები
2. სემინარული მუშაობა
3. ინტერდისციპლინური მიდგომა

ზემოთ მოყვანილია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას.

სადოქტორო განათლება არ არის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის უბრალო გაგრძელება, მას პრინციპულად სხვა მიზნები აქვს და ამიტომ აქ სწავლების განსხვავებული ფორმები უნდა იქნეს გამოყენებული. როგორც უკვე აღინიშნა, PhD სამეცნიერო ხარისხია თავისი შინაარსით, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უნარს დამოუკიდებლად შექმნას, განავითაროს და



წარმოადგინოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამიტომ დოქტორანტურის საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტების ისეთი თვისებების განვითარებას, როგორცაა დამოუკიდებელი მუშაობა, პრობლემის განსაზღვრის უნარი, კომუნიკაცია და ა.შ.

დოქტორანტურაში ღრმად და ინტენსიურად უნდა ისწავლებოდეს დისციპლინის საგნები. მაგისტრატურის დონეზე პრაქტიკულად სრულდება ამა თუ იმ დისციპლინის შესწავლა, მაგრამ დოქტორანტურაში ამას სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ: ტრადიციული ლექციები ამ შემთხვევაში არაეფექტურია. დოქტორანტებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ძირითადად სემინარების ფორმატით, სადაც მათ ექნებათ თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. ლექტორი ამ შემთხვევაში კარგავს მენტორის, უფროსის როლს და დისკუსიის მოდერატორის ფუნქციებს უფრო ასრულებს. აკადემიური დისციპლინების შესწავლის ეს ფორმა შერწყმული უნდა იყოს პრაქტიკულ სამუშაოსთან, როდესაც დოქტორანტებს ექნებათ კვლევის ყველაზე უფრო თანამედროვე მეთოდების ათვისების საშუალება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დოქტორანტურაში უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და განათლების მართვის შესწავლას. მომავალმა დოქტორებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ ასწავლონ დისციპლინა, კვლევა, პრეზენტაცია და ა.შ. დოქტორები ხომ უნივერსიტეტების მომავალი პროფესორ-მასწავლებლები არიან.

კომუნიკაცია და მენეჯმენტი ის საგნებია, რომელთა სწავლებაც აქამდე დოქტორანტურის დონეზე საერთოდ არ განიხილებოდა. მაგრამ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს დოქტორანტების შესაძლო დასაქმების სფეროების მოთხოვნები. გარდა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, დოქტორებმა შეიძლება იმუშაონ მრეწველობაში, მთავრობაში და პროფესიული საქმიანობის სხვა ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად მათ უნდა შეეძლოთ როგორც სხვა პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობა, ასევე მნიშვნელოვანი ინტერდისციპლინური პროექტების ხელმძღვანელობა. კომუნიკაციისა და მენეჯმენტის სემინარები მომავალი ლიდერების მომზადების აუცილებელი კომპონენტია.

### რეკომენდაცია

დოქტორანტურის კურიკულუმის შედგენა შესაბამისი ფაკულტეტის ან ფაკულტეტების პასუხისმგებლობაა, ისევე როგორც საგნების სილაბუსების შედგენა - შესაბამისი პროფესორების პასუხისმგებლობა.

დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლების ხანგრძლივობა – კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” ადგენს სულ მცირე 3 წლის ვადას.

დოქტორანტურაში სწავლის ფორმატი მხოლოდ დღის დასწრებული სწავლებაა. დაუსწრებელი სწავლა, მაძიებლობის ინსტიტუტი, როგორც შეუთავსებელი დოქტორანტურის მიზნებთან და შინაარსთან, აღარ უნდა არსებობდეს (ამას ახალი კანონმდებლობაც ადასტურებს).

სრულყოფილი სამეცნიერო ნაშრომის, დისერტაციის დასრულებას სჭირდება სულ მცირე 2-2,5 წლის ინტენსიური მუშაობა (ეს ვადები

შეიძლება განსხვავდებოდეს ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებში): შესაბამისად სასწავლო კომპონენტის ხანგრძლივობა შეზღუდული იქნება. დასავლეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების შემდეგნაირი შეფარდება: 30% - სწავლება; 70% - კვლევა. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს უნდა მიეცეს დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის. შესაბამისად რიგ სფეროებში დოქტორანტურაში სწავლების ხანგრძლივობამ შესაძლოა 4 წელიწადს მიაღწიოს.

ევროპული გამოცდილებით PhD ხარისხის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა წელიწადში 60-ს შეადგენს, თუმცა მათი რაოდენობა უნივერსიტეტების მიერ უნდა იქნეს განსაზღვრული ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. მაგალითად ავსტრიაში დაადგინეს, რომ PhD ხარისხის მისაღებად აუცილებელია მინიმუმ ECTS 240 კრედიტი<sup>14</sup>, ანუ შესაძლოა კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს. აშშ სისტემაში სადოქტორო პროგრამების კრედიტების რაოდენობა შეიძლება 500-ს აღწევდეს.<sup>15</sup>

პუბლიკაციები – მათი აუცილებლობის საკითხი სპეციალობის შესაბამისად უნდა განსაზღვროს შესაბამისმა უმაღლესმა სასწავლებელმა ან ფაკულტეტმა.

საქართველოში PhD პროგრამების მომზადება მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული: პირველ რიგში, დოქტორანტურის პროგრამების მომზადება ავტომატურად გამოიწვევს ბაკალავრიატისა და განსაკუთრებით მაგისტრატურის პროგრამების ძირეულ გადახედვას, რაც შესაბამისად დროს მოითხოვს. საგნების ნაწილმა, რომელიც დღეს მაგისტრატურის საფეხურზე ისწავლება, შესაძლოა დოქტორანტურაში გადაინაცვლოს. სადოქტორო პროგრამების მომზადებას სულ მცირე ერთი წლის ინტენსიური მუშაობა სჭირდება. სასურველია ამ პროცესში დასავლელი კოლეგების მხარდაჭერა, წინააღმდეგ შემთხვევაში არაა გამორიცხული უხარისხო პროგრამების მომზადება, ან უბრალოდ დასავლური უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე განთავსებული პროგრამების გადაწერა – სამწუხაროდ ასეთი ტიპის პლაგიატი საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია.

ყველაზე უფრო მტკივნეული პრობლემაა დოქტორანტურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს ჩატარების მიზნით აუცილებელია ფაკულტეტების შესაბამისი აღჭურვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტურა მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნება.

პრინციპულად მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემოღება დოქტორანტურის დონეზე.

<sup>14</sup> “Trends 2003: Progress towards the European Higher Education Area”.

<sup>15</sup> B. Parsonson. Social Science Doctoral Program Options: UK and USA degree models. 2004.

### პროგნოზი

თუ ზემოაღნიშნული პირობები დაცული იქნება, მაშინ უახლოეს წლებში მოსალოდნელია სადოქტორო პროგრამების რაოდენობის შემცირება, რადგანაც ყველა უნივერსიტეტი და ყველა ფაკულტეტი ვერ მოახერხებს სათანადო სადოქტორო პროგრამების უზრუნველყოფას.

სერიოზული პრობლემაა უნივერსიტეტების ამჟამინდელი პროფესორ-მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება – დოქტორანტურის პროგრამების შემუშავება და დოქტორანტებთან მუშაობის ახალი პრინციპების გათავისება პროფესორებისაგან გარკვეულ ცოდნას მოითხოვს. სასურველია შესაბამისი “ტრენინგები” უნივერსიტეტებში უცხოელმა კოლეგებმა ჩაატარონ, რაც მათი სანდოობის ხარისხს გაზრდის, მაგრამ ამავე დროს დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

### **3.4. PhD სისტემაზე გადასვლის ინსტიტუციური წინაპირობები**

PhD სისტემაზე გადასვლის საკანონმდებლო წინაპირობები დარეგულირდა კანონით “უმაღლესი განათლების შესახებ”. რაც შეეხება ინსტიტუციონალურ პირობებს, აქ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი.

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს სადოქტორო პროგრამების განხორციელების ადგილი. დღეს საქართველოში ასპირანტურა არსებობს არა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. 2002 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი “უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ”, სადაც ცალსახადაა განსაზღვრული, რომ

“მეცნიერებათა კანდიდატისა და მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხიებს ანიჭებს სათანადო დარგის სადისერტაციო საბჭო დისერტაციის საჯარო დაცვის საფუძველზე. სადისერტაციო საბჭოები იქმნება სათანადო დარგებში მაღალი მეცნიერული მიღწევების მქონე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში<sup>16</sup>.”

ამავე კანონის მე-4 მუხლით განისაზღვრება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების უფლება, მიანიჭონ პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

ცნობილია, რომ

---

<sup>16</sup> საქართველოს კანონი “უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ”. მუხლი 3, პუნქტი 2.

“იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა”.<sup>17</sup>

ე.ი. ამ შემთხვევაში უპირატესია კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”, მაგრამ ის მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებულ საკითხებს ფარავს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე ამ კანონში არაფერია ნათქვამი (თუ არ ჩავთვლით 30-ე მუხლის მე-4 პუნქტს – იხ. ქვემოთ), შესაბამისად ამ დაწესებულებებში ასპირანტურის არსებობას აქვს იურიდიული საფუძველი. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაზუსტებული, წინააღმდეგ შემთხვევაში პარალელური სისტემების არსებობა გარადუვალაია.

მაგრამ ეს ნამდვილად არ უნდა ნიშნავდეს დოქტორანტურის საფეხურზე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის გაუქმებას – პირიქით, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის დოქტორანტებს უნდა ქონდეთ უფლება კვლევითი სამუშაოს ნაწილი შეასრულონ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების ბაზებზე, სადაც ხშირად უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა, ვიდრე უნივერსიტეტებში. დასაშვებია უნდა იყოს ორი სამეცნიერო ხელმძღვანელის არსებობა (პირველი – უნივერსიტეტიდან, მეორე – მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტიდან). ამას გვთავაზობს კანონიც “უმაღლესი განათლების შესახებ” – მუხლი 30, პუნქტი 4:

“უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.”

კანონის იგივე მუხლში განსაზღვრულია ფაკულტეტებთან არსებული სადისერტაციო საბჭოების დაკომპლექტების წესი და პასუხისმგებლობა:

“სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის მოწვევის წესი და პირობები.

სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამ დებულებით”.<sup>18</sup>

<sup>17</sup> საქართველოს კანონი “ნორმატიული აქტების შესახებ”. მუხლი 25, პუნქტი 2.

<sup>18</sup> საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”. მუხლი 30, პუნქტები 2,3.



მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ფაკულტეტებს ეძლევათ თავისუფლება, თავად განსაზღვრონ დოქტორის ხარისხის მინიჭების პირობები. კანონის ამ მუხლის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ერთი და იმავე უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებს განსხვავებული პირობები ქონდეთ, რაც შესაბამისად დებულებებში აისახება, რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის განსხვავებაზე. სადისერტაციო საბჭოების დებულებების ეს მრავალფეროვნება ერთის მხრივ გამოხატავს დისციპლინათა შორის სხვაობას და ქმნის შესაბამის სფეროში ადეკვატური მოთხოვნების ჩამოყალიბების საშუალებას, მაგრამ მეორე მხრივ, აქ გარკვეული რისკიც არსებობს: შესაძლოა გართულდეს სადოქტორო პროგრამების ხარისხის კონტროლი, თუ ყველა პროგრამამ სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წამოაყენა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის.

სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებლობა უკვე ვახსენეთ. უნდა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია; ხარისხის უზრუნველყოფამ რეგულარული ხასიათი უნდა შეიძინოს. უნივერსიტეტებმა და დამქირავებლებმა, ისევე როგორც მთელმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რამდენად ეფექტურია დოქტორანტურის პროგრამები ქართულ უნივერსიტეტებში.

- რამდენად ეფექტურად ამზადებენ სადოქტორო პროგრამები კარიერისათვის კურსდამთავრებულებს?
- რამდენად ეფექტურია სადოქტორო პროგრამები მომავალი პროფესორ-მასწავლებლების მომზადების მხრივ?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნდა გასცეს.

სადოქტორო პროგრამების განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის თავად უნივერსიტეტების მუშაობის სტილს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სადოქტორო პროგრამებს სარგებელი მოაქვთ უნივერსიტეტებისათვის. დოქტორანტურის ფუნქციონირება პირადაპირ კავშირშია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მისიასთან/დანიშნულებასთან. ეს კავშირი ამდიდრებს როგორც სადოქტორო პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, ასევე თავად უნივერსიტეტს. ახალგაზრდა, გონიერი სტუდენტების შემოქმედება კვლევით ლაბორატორიებში განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის და იზიდავს უნივერსიტეტში საუკეთესო პროფესორებს და პირიქით, გამოცდილი პროფესორის არსებობა მნიშვნელოვანი არგუმენტია კარგი სტუდენტების მოზიდვისათვის.

დოქტორანტურის დონეზე შემოქმედებითი პროცესის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია უნივერსიტეტში სათანადო აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების არსებობა.

სპეციალურმა სამსახურმა (უნივერსიტეტის განყოფილება ან დეპარტამენტი) უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა დოქტორანტურაში მიღების პროცესი, მათი ინფორმირება, სათანადო საბუთების შეგროვება და მოწესრიგება. შემდგომში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუდმივი მონიტორინგი დოქტორანტების სასწავლო და სამეცნიერო წინსვლაზე: შეფასებები,



კრედიტების რაოდენობა და სხვა ტიპის ინფორმაცია მუდმივად უნდა გროვდებოდეს და ინახებოდეს.

აუცილებელია ამ სამსახურის, დეკანატების, კათედრებისა და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, მუშაობის ეფექტური კოორდინაცია.

ფაკულტეტის დონეზე უნდა მოხდეს სტუდენტთა შერჩევა და უშუალოდ სადოქტორო პროგრამების განხორციელება, თუმცა არ არის გამორიცხული ფაკულტეტთაშორის/ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამების არსებობა.

საუნივერსიტეტო სამსახურები მზად უნდა იყოს გზადაგზა წარმოქმნილი პრობლემები დროულად აღმოფხვრას. სადოქტორო პროგრამების წარმატებული წარმართვისათვის მნიშვნელოვანია პროფესორ-მასწავლებელთა მუდმივი გადამზადება. ახალი, ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამების შემუშავება, უკვე არსებულის ადაპტირება თანამედროვე მოთხოვნებთან, კავშირი სავარაუდო დამსაქმებლებთან, დოქტორანტების რაოდენობის რეგულირება, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა – ეს იმ მოვალეობათა არასრული ჩამონათვალია, რომელიც უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა შეასრულოს. აკადემიური პროცესის გარდა, სათანადო ადმინისტრაციული მხარდაჭერის გარეშე სადოქტორო პროგრამების ფუნქციონირება წარმოუდგენელია.

მაშასადამე, PhD სისტემაზე გადასვლისათვის აუცილებელია შემდეგი ინსტიტუციური წინაპირობების შესრულება: უნდა განისაზღვროს მიმართება მეცნიერებათა აკადემიაში არსებულ ასპირანტურასთან, განისაზღვროს სადისერტაციო საბჭოების მუშაობის პრინციპები, შეიქმნას ხარისხის კონტროლისა და სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული სამსახურები.

### **რეკომენდაცია**

კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” არაფერს ამბობს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში ასპირანტურის შესახებ. პარალელური სისტემების არსებობა არ არის სასურველი ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორცაა საქართველო. სადოქტორო განათლება ერთიან ინსტიტუციურ ფარგლებში უნდა მოექცეს. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

შემუშავდეს სადისერტაციო საბჭოს ტიპური დებულება, რომელიც გააადვილებს ხარისხის უზრუნველყოფას.

არ იქნება ეფექტური, რომ ხარისხის მინიჭების საკითხი სადისერტაციო საბჭოში შემავალმა ყველა პროფესორმა და ასოცირებულმა პროფესორმა გადაწყვიტოს; ფაკულტეტების მოსალოდნელი გამსხვილების ფონზე სადისერტაციო საბჭოების წევრთა რაოდენობა ძალიან გაიზრდება. პროფესორებმა უნდა მიუთითონ კომპეტენციის სფეროები და ყოველი კონკრეტული დისერტაციის წარდგენისას სადისერტაციო საბჭოს სამდივნომ (ან სხვა რომელიმე ორგანომ) უნდა გამოყოს საჯარო დაცვისათვის პროფესორები, რომელთაც ექნებათ დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება. დეტალები

განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულება/წესდებით და სადისერტაციო საბჭოების დებულებით.

სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა პროგრამული აკრედიტაციის აუცილებელი წინაპირობაა. საწყის ეტაპზე (და ალბათ მომავალშიც ქვეყნის სიმცირის გამო) გარადევალია უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა შეფასების პროცესში.

უნივერსიტეტებში უნდა შეიქმნას შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც სადოქტორო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელ პირობებს უზრუნველყოფს.

### 3.5. დოქტორანტურის დაფინანსება

ახლად მიღებული კანონის თანახმად, დოქტორანტურა (მაგისტრატურასთან ერთად) ფინანსდება სამეცნიერო გრანტებიდან – ე.ი. ფაკულტეტზე/ლაბორატორიაში/ინსტიტუტში სამეცნიერო გრანტის არსებობა არის დოქტორანტის მიღების აუცილებელი წინაპირობა.

“მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით.<sup>19</sup>”

შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი გრანტის თანხის კალკულაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს დოქტორანტების დაფინანსების საკითხიც. ეს ახალი პრაქტიკაა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. თუ ამას დაემატებთ ჩვენი მეცნიერების საკმაოდ მწირ გამოცდილებას კვლევითი პროექტების წარდგენის საკითხში, და ჩვენი სახელმწიფოს მოკრძალებულ შესაძლებლობებს მეცნიერების დაფინანსების სფეროში, ცხადი გახდება, რომ დოქტორანტურის სახელმწიფო დაფინანსება სრულიად არასაკმარისი იქნება მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

კანონის თანახმად ეს მდგომარეობა დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს:

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007 წლის პირველ იანვრამდე შეიმუშაოს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დაფინანსების ახალი წესი და პირობები”.<sup>20</sup>

თუმცა ეს წესი და პირობები არსად არის ჩამოყალიბებული და გაუგებარია, რა ელის მომავალში სადოქტორო პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას.

<sup>19</sup> საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” მუხლი 83, პუნქტი 3.  
<sup>20</sup> საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” მუხლი 88, პუნქტი 10.

ნებისმიერ შემთხვევაში უნივერსიტეტები დოქტორანტურის დაფინანსების დამატებითი წყაროების ძებნას ახლავე უნდა შეუდგნენ.

აუცილებელია პროგრამის განფასება. დღესაც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტურასა და დოქტორანტურაში სწავლა მოელ რიგ ხარჯებთანაა დაკავშირებული:

მიზნობრივ ასპირანტურაში სწავლის საფასური წელიწადში 250 აშშ დოლარია (მაშინ როდესაც იგივე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე არასაბიუჯეტო სექტორზე სწავლა წელიწადში დაახლოებით 500 აშშ დოლარი ღირს); საკანდიდატო მინიმუმის თითო საგნის ჩაბარების საფასურია 30 ლარი; სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან დოქტორანტურაში მივლინებულნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იხდიან 500 აშშ დოლარს (შესაბამისი კურსით ლარებში); უცხოელ მოქალაქეთათვის 1350 აშშ დოლარის ექვივალენტი<sup>21</sup>.

ცხადია, მოცემული ფასები აბსოლუტურად არ ასახავს პროგრამების რეალურ ღირებულებას. მაშინ როდესაც ბაკალავრიატში სახელმწიფო სასწავლო გრანტის ღირებულება 1250-1500 ლარია, წარმოდგენელია, რომ ასპირანტურაში სწავლა 250 დოლარის ექვივალენტი ღირდეს. სადოქტორო პროგრამების ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება; ის არ იქნება ერთნაირი სხვადასხვა სფეროებში: საბუნებისმეტყველო დარგებში, მედიცინისა და ტექნიკის სფეროებში სადოქტორო პროგრამების ფასი რამდენჯერმე აღემატება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში პროგრამების ღირებულებას. ამას უნდა დაემატოს რეფორმის შემდეგ სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებისა და ხარისხის კონტროლის ხარჯები – რთული წარმოსადგენია, რომ საქართველოში ბევრი დოქტორანტი მოიძებნოს, ვინც სადოქტორო პროგრამების ღირებულებას თავად დაფარავს.

თვითდაფინანსების შესაძლო ალტერნატივაა სპეციალური სახელმწიფო პროგრამების არსებობა პრიორიტეტულ სფეროებში. მაგრამ ასეთი სფეროების რაოდენობა ლიმიტირებულია და ამ დროს არაპრიორიტეტული დარგების განვითარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

შედავათიანი გრძელვადიანი საბანკო სესხები ევროპასა და ამერიკაში სტუდენტებისა და კერძოდ დოქტორანტების დაფინანსების მიღებული მეთოდია. საქართველოში განათლების დაფინანსების ეს მოდელი ჯერ არ არის გავრცელებული, თუმცა ძალზედ მისასაღებელი იქნება მსგავსი პრაქტიკის დანერგვა ქართული ბანკების მიერ.

“უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის თანახმად დოქტორანტებს აქვთ უნივერსიტეტებში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მუშაობის უფლება – ხელფასი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სწავლის დაფინანსების ფორმა. ეს იდეალური მოდელია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე პირველი და ალბათ მეორე კურსის დოქტორანტების აყვანა ნაკლებ სავარაუდოა, ანუ ხელფასის მიღება უნივერსიტეტში მუშაობისას დოქტორანტურის მხოლოდ მესამე კურსზეა შესაძლებელი. გარდა ამისა, ასისტენტ-პროფესორთა ვაკანსიები ნამდვილად არ იქნება საკმარისი ყველა დოქტორანტისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უნივერსიტეტის თანამშრომელთა ხელფასი არც ისე დიდია, რომ სწავლის

<sup>21</sup> [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)

საფასური სრულად დაფაროს. სხვა ორგანიზაციაში, უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში მუშაობა კი დოქტორანტისათვის უკეთეს შემთხვევაში ასევე მხოლოდ მეორე-მესამე კურსზე იქნება შესაძლებელი – დოქტორანტურაში სწავლება დღის დასწრებულ ფორმატში მიმდინარეობს. სადოქტორო პროგრამა იმდენად დატვირთულია, რომ სხვა ტიპის საქმიანობა (არა უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების გაძღოლა) საზიანოდ აისახება დოქტორანტის მიერ მისი ძირითადი მოვალეობების შესრულებაზე.

თუ სახელმწიფომ თავის თავზე არ აიღო სადოქტორო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა, ასეთი პროგრამების განვითარებას აზრი არ აქვს. საწყის ეტაპზე მაინც სახელმწიფო დაფინანსებამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. კერძო სექტორი საქართველოში არ არის იმდენად ძლიერი, რომ სერიოზული სტიპენდიები დააწესოს დოქტორანტებისათვის: ქართული ფონდების მიერ სტუდენტთა ხელშეწყობა უფრო სამომავლო პერსპექტივაა. თუმცა მთელ რიგ დარგებში არაა გამორიცხული ადგილობრივი დონორების აქტიური მონაწილეობა.

აშშ უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამები მთელ მსოფლიოშია აღიარებული. ქვეყნის ინვესტიციები კვლევისა და განვითარების სფეროში (Research&Development), რაც თავისთავად სადოქტორო პროგრამების დაფინანსებასაც გულისხმობს, ყოველწლიურად იზრდება და რამდენიმე მილიარდ დოლარს აღწევს. მთავრობა და ინდუსტრია, პრინციპული ინვესტორები, აცნობიერებენ, რომ ეს აუცილებლად მოიტანს მოგებას გრძელვადიან პერსპექტივაში. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა შეუძლებელია სათანადოდ მომზადებული კადრების გარეშე. განვითარებული ქვეყნების მოწინავე უნივერსიტეტები იღებენ როგორც სახელმწიფო, ისევე კერძო დაფინანსებას.

საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა, და ვიდრე სადოქტორო პროგრამების დაფინანსებას დაიწყებდეს, მას სხვა ბევრი უმძიმესი სოციალური პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. ინვესტიციების გაზრდა უმაღლესი განათლების სისტემაში შესაძლებელია ნიშნავდეს მათ შემცირებას სხვა სფეროებში. საქართველოს არა აქვს საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს. წარმატებული უმაღლესი განათლების სისტემის შექმნა არ არის იაფი და სხვა დანახარჯების შემცირებას გულისხმობს. რამდენად არის ჩვენი საზოგადოება დღეს ამისათვის მზად?

უმაღლესი განათლების რეფორმაში ინვესტირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს საქართველოს მეტად ღირებულ რესურსს. ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება არ არის სარისკო. განათლება ნიშნავს განვითარებას. განვითარება კი ხელს უწყობს განათლებას, რადგან ეკონომიკური ზრდა იძლევა განათლების სხვადასხვა სფეროების გაფართოების შესაძლებლობას.

### 3.6. PhD სისტემაზე გადასვლის ეტაპები

ახალი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა ყოველთვის პრობლემებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ბევრად უფრო რთულია არსებული სისტემის



გადაკეთება და პარალელურ რეჟიმში მუშაობა. ამ დროს გარკვეული კომპრომისები გარდაუვალია.

კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ადგენს:

„ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდება აგრეთვე პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებიან ასპირანტები (მაძიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა“.<sup>22</sup>

კანონის ეს მუხლი აუცილებლად ვნებათაღელვას გამოიწვევს. დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭება ყველას, მეცნიერებათა კანდიდატებსა და დოქტორებს, რაც ამ უკანასკნელთა დამსახურებულ პროტესტს იწვევს. სამეცნიერო წრეებში გაბატონებულია აზრი, რომ მეცნიერებათა დოქტორებს გარკვეული უპირატესობა ექნებათ აკადემიური თანამდებობების დაკავებისას და შესაბამისად, გრძელდება სადოქტორო დისერტაციების დაცვა. ამ პროცესის ლეგიტიმურობა გასარკვევია, რადგანაც კანონში მხოლოდ საკანდიდატო დისერტაციის დაცვაზეა ლაპარაკი და სადოქტორო დისერტაცია ნახსენებიც არ არის. ეს იურიდიული გაუგებრობა კიდევ უფრო ართულებს ვითარებას.

ერთი მხრივ, საქართველოში 2002 წლის მონაცემებით 1811 მეცნიერებათა დოქტორია, რომელთაგან 59% 60 წელზე უფროსია<sup>23</sup>. სავარაუდოა, რომ დოქტორების რაოდენობა ბოლო 3 წელიწადში მკვეთრად არ მოიმატებდა (სტატისტიკური მონაცემები ბოლო წლების შესახებ არ არსებობს). ისიც სავარაუდოა, რომ მეცნიერებათა დოქტორებს უკავიათ წამყვანი თანამდებობები უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში: მაგ. „ძველი“ დოქტორების უმრავლესობას უნივერსიტეტებში კათედრისა და ლაბორატორიის გამგეების თანამდებობებზეა. რამდენად სერიოზულ კონკურენციას წარმოადგენენ მათთვის „ძველი“ მეცნიერებათა კანდიდატები, რომლებიც დღეს ახალი აკადემიური ხარისხის, PhD მფლობელები გახდნენ? უკვე მრავალჯერ ციტირებულ კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ასაკობრივი ლიმიტი საუნივერსიტეტო თანამდებობების დაკავებისას 2009 წლამდე არ ამოქმედდება<sup>24</sup>, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ PhD-ს სისტემაზე გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, ახალგაზრდა სპეციალისტთა მოზიდვა და ინტელექტის გადინების შემცირება/შეჩერება მათთვის უკეთესი პირობების შექმნის გზით ვერ გამართლდა: სამეცნიერო ელიტაში ახალგაზრდების მოსვლა სულ მცირე კიდევ ოთხი წლით გადაიდო. ამ ოთხი წლის განმავლობაში წარმოქმნილ ვაკანსიებზე პრეტენზიის გაცხადებისას მეცნიერებათა დოქტორებს კანდიდატებთან შედარებით აშკარა უპირატესობა ექნებათ, შესაბამისად სადოქტორო დისერტაციების დაცვა გაგრძელდება.

<sup>22</sup> საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ მუხლი 89, პუნქტები 9,10.

<sup>23</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი „განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში“ სტატისტიკური კრებული 2002 წ.

<sup>24</sup> საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ მუხლი 90, პუნქტები 1.

ვერც ორი და ვერც ოთხი წლის შემდეგ თანაბარი კონკურენტუნარიანობის მიღწევა მეცნიერებათა დოქტორებს, კანდიდატებსა და PhD-ს შორის ვერ მოხერხდება. იშვიათი გამონაკლისების დროს, იმ სფეროებში, სადაც არ არიან მეცნიერებათა დოქტორები, ან ამა თუ იმ მიზეზთა გამო ვერ მონაწილეობენ კონკურსში, შანსი ახალგაზრდა კანდიდატებს ეძლევათ. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი კრიტერიუმებიც, როგორცაა გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა რაოდენობა და ხარისხი, მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.

მეორე მხრივ, აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხების გათანაბრება ავტომატურად იწვევს ზოგადად ხარისხის დაწევას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საკანდიდატო დისერტაციების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით 1991 წლის შემდეგ დაცული დისერტაციები) ნამდვილად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, მაშინ ამ ხარისხების მფლობელთათვის PhD-ს ავტომატური მინიჭება გარკვეულ პრობლემებს ქმნის. შესაძლო გამოსავალი იქნება აკადემიური თანამდებობების დაკავებისას მკაცრი კრიტერიუმების (გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა რაოდენობა და ხარისხი, მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.) შემოღება.

გარდამავალი პერიოდი გარკვეულ სირთულეებს შეუქმნის ამუშაინდელ ასპირანტებსაც და მათ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებსაც პარალელურად მოუწევთ ახალი სადოქტორო პროგრამების განვითარებაზე მუშაობა.

### რეკომენდაცია

გარდამავალ პერიოდში სხვადასხვა სიტუაციაში მყოფი ასპირანტებისა და მაძიებლების მდგომარეობა ასე განისაზღვრება:

- მათ, ვინც უკვე დაამთავრა ასპირანტურა, ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, და ჯერ არ დაუცავს დისერტაცია – დისერტაციის დაცვის ვადა აქვთ 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
- მაძიებლებს, რომლებსაც ასევე ჩაბარებული აქვთ გამოცდები, დისერტაციის დაცვის ვადა გაუგრძელდათ 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
- იმ ასპირანტებმა და მაძიებლებმა, რომლებმაც უკვე ამოწურეს დისერტაციის შესრულებისათვის გამოყოფილი ყველა ოფიციალური ვადა, და საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები ჩააბარეს შვიდი ან მეტი წლის წინ, ხელმეორედ უნდა ჩააბარონ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები და დაიცვან დისერტაცია 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
- III კურსის ასპირანტები, რომლებიც ასპირანტურას ამთავრებენ 2005 წელს, დისერტაციას იცავენ 2006 წლის 31 დეკემბრამდე აქამდე არსებული (ძველი) წესით.
- II კურსის ასპირანტები, რომლებიც ასპირანტურას ამთავრებენ 2006 წელს, დისერტაციას იცავენ 2006 წლის 31 დეკემბრამდე ძველი წესით. ამ შემთხვევაში დისერტაციის დაცვის მოსწრება მითითებულ ვადაში სხვადასხვა მიზეზების გამო ყველამ შეიძლება



ვერ მოახერხოს<sup>25</sup>. ამ კატეგორიის ასპირანტებისათვის რიგ ფაკულტეტებზე სასწავლო კომპონენტის შემოღება მხოლოდ III (დამამთავრებელ) კურსზე ესწრება. შესაბამისად გაუგებარია, რომელი წესით და რა მოთხოვნების შესაბამისად დაიცავენ ეს ასპირანტები დისერტაციას. ხოლო იმ ფაკულტეტებზე, სადაც ვერ მოესწრება სასწავლო კომპონენტის შემუშავება, დაცვა ნებისმიერ შემთხვევაში ძველი წესით უნდა მოხდეს (აუცილებელია კანონში ცვლილებების შეტანა: ერთ-ერთი ვარიანტია, გამონაკლისის სახით დისერტაციის დაცვის უფლება ძველი წესით 2006 წლის 31 დეკემბრის შემდეგაც. ამ კატეგორიის დისერტანტების აღრიცხვა სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს და მათთვის შესაძლოა ახალი ვადის დადგენა, მაგ. 2007 წლის 31 მაისამდე).

- იგივე ვრცელდება ვადების მხრივ შესაბამის პირობებში მყოფ (II წლის) მაძიებლებზე.
- I კურსის ასპირანტების შემთხვევაში, რომლებიც ასპირანტურას 2007 წელს ამთავრებენ, ესწრება დოქტორანტურის პროგრამების შემუშავება. მართალია, ისინი საგანმანათლებლო კომპონენტს მეორე-მესამე კურსზე გაივლიან, მაგრამ დისერტაციის დაცვა უკვე ახალი სადისერტაციო საბჭოს წინაშე მოუწევთ ახალი დებულების საფუძველზე.
- 2005-2006 სასწავლო წელს უნივერსიტეტებში აღარ უნდა მიიღონ მაძიებლები (და შესაბამისად ასპირანტები და დოქტორანტებიც). ასპირანტების მიღება აზრს კარგავს, ვიდრე არ იქნება შემუშავებული სადოქტორო პროგრამები.
- PhD პროგრამის სრული ციკლის გავლას უკეთეს შემთხვევაში პირველად მოახერხებენ 2006 წელს დოქტორანტურაში მიღებული სტუდენტები. 2006 წლის სექტემბრისათვის უნდა დასრულდეს სადოქტორო პროგრამების შემუშავება. ცხადია, ეს მხოლოდ სათანადო დაფინანსებისა და ადმინისტრირების პირობებში იქნება შესაძლებელი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საზღვარგარეთ დაცული დისერტაციების ნოსტრიფიკაციის საკითხი. საქართველო უერთდება უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეს – ხარისხების აღიარებაც ლისაბონისა და ბოლონიის პროცესების შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს<sup>26</sup>.

<sup>25</sup> ამ პერიოდში სავარაუდოა დისერტაციის დაცვის მსურველთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება შეიძლება გართულდეს.

<sup>26</sup> დღესდღეისობით სეს-ის მიერ ავტომატურად არის აღიარებული დსთ-ს ქვეყნებში დაცული დისერტაციები, მაშინ როდესაც აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულების არარსებობის პირობებში აღნიშნულ ქვეყნებში დაცული ხარისხების აღიარება რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

#### 4. დოქტორანტურის პერსპექტივა საქართველოში

საქართველოში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის შემოდგომა, დოქტორანტურის დანერგვა, უკიდურესად ამბიციური პროექტია.

სადოქტორო პროგრამების განვითარება უდიდეს ინტელექტუალურ და ფინანსურ ძალისხმევას საჭიროებს. ქვეყნის ახალი ელიტის შექმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია. მაგრამ გაწეული დანახარჯები საქართველოს ათმაგად დაუბრუნდება უმაღლესი განათლების სისტემის წარმატებული რეფორმირების შემთხვევაში.

ჩვენი ქვეყნის მთავარი რესურსი განათლებული მოქალაქეებია. ადამიანური რესურსების განვითარება რეგიონთან, ევროპასთან და ზოგადად მსოფლიოსთან ქვეყნის ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საქართველო ამჟამად საერთაშორისო საზოგადოებასა და რეგიონულ თანამშრომლობაში თავისი ადგილის დამკვიდრების პროცესშია. უმაღლესი განათლების რეფორმა, მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამების განვითარება ამ პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტად უნდა იქცეს.

##### წყაროები:

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ” (2002)
2. საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” (2004)
3. დებულება საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ (2003)
4. “ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მდგომარეობა საქართველოში – ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისი” (2003) მარიამ ბეგიაშვილი და სხვ.
5. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი “განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში” სტატისტიკური კრებული (2003)
6. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი “განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში” სტატისტიკური კრებული (2002)
7. Association of American Universities. Committee on Graduate Education Report and Recommendations (1998)
8. Martin Walker United Press International (2004)
9. Preparing Stewards of the Discipline. Carnegie Initiative on the Doctorate (2002)
10. Trends 2003: Progress towards the European Higher Education Area (2003)
11. F. Buch. Zwei Jahre Juniorprofessur: Analysen und Empfehlungen (2004)

### საექსპერტო შეფასებები:

- თ. ლორთქიფანიძე “PhD ბალტიისპირეთის ქვეყნებში”
- გ. ხარაშვილი “PhD ამერიკის შეერთებულ შტატებში”
- თ. გერგელავა “ასპირანტურა და დოქტორანტურა საქართველოში”
- ქ. ჩიქოვანი “PhD აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში – უნგრეთი, სლოვენია”
- ლ. ღლონტი “სადოქტორო პროგრამები გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში”

### საექსპერტო შეფასებებში გამოყენებული წყაროები:

აშშ

<http://www.ed.gov>  
[www.unesco.org/iau/cd-data](http://www.unesco.org/iau/cd-data)  
<http://www.ed.gov>  
<http://usinfo.state.gov/usa/infousa/educ>  
<http://www.educationlaw.org/about.htm>  
<http://www.law.cornell.edu/topics/education.html>  
[http://www.law.cornell.edu/topics/state\\_statutes3.html#higher\\_education](http://www.law.cornell.edu/topics/state_statutes3.html#higher_education)  
<http://www3.state.id.us/idstat/TOC/33FTOC.html>  
<http://www3.state.id.us/idstat/TOC/33028KTOC.html>  
<http://www.michiganlegislature.org/mileg.asp?page=getobject&objName=mcl-chap390>  
[http://www.usembassy-mexico.gov/bbf/bfinfpac\\_higheducation.pdf](http://www.usembassy-mexico.gov/bbf/bfinfpac_higheducation.pdf)  
<http://www.aascu.org/>  
<http://www.acenet.edu/>  
<http://edworkforce.house.gov/publications/compindex.htm>  
<http://www.ed.gov/about/offices/list/ous/international/usnei/us/edlite-info-sources.html>  
<http://usinfo.state.gov/usa/infousa/>  
<http://www.loc.gov/>  
<http://www.gpoaccess.gov/nara/index.html>  
<http://www.usjournal.com>  
<http://www.ed.gov/about/offices/list/ies/ncee/nle.html>  
<http://www.eric.ed.gov>  
<http://www.edufind.com/>  
[http://web.princeton.edu/sites/gso/Forms/Time\\_to\\_Degree.pdf](http://web.princeton.edu/sites/gso/Forms/Time_to_Degree.pdf)  
<http://www.princeton.edu/pr/admissions/g/agga/>  
<http://admissions.msu.edu/Admissions.asp>  
[http://admissions.msu.edu/Admission\\_Standards.asp](http://admissions.msu.edu/Admission_Standards.asp)  
<http://admissions.msu.edu/graduate.asp>  
<http://www.tufts.edu/as/stu-org/hfes/thfes/booklet/phdrequire.html>  
<http://www.higher-ed.org/resources/HEA.htm>  
[http://www.policyalmanac.org/education/archive/crs\\_higher\\_education.shtml](http://www.policyalmanac.org/education/archive/crs_higher_education.shtml)  
[www.isu.edu](http://www.isu.edu)

[www.tamu.edu](http://www.tamu.edu)  
[www.harvard.edu](http://www.harvard.edu)  
[www.wsu.edu](http://www.wsu.edu)  
[www.berkeley.edu](http://www.berkeley.edu)  
[www.ucsd.edu](http://www.ucsd.edu)  
<http://www.fsu.edu/>  
<http://www.abgc.net/genetics/abgc/accred/acc-03/acc-02b.htm>  
<http://www.sacscoc.org/>  
<http://www.sacscoc.org/SectIV.htm>  
<http://www.aspa-usa.org>  
<http://www.chea.org>  
<http://www.msache.org>  
<http://www.neasc.org>  
<http://www.ncahigherlearningcommission.org>  
<http://www.nwccu.org>  
<http://www.sacscoc.org>  
<http://www.wascweb.org>

#### გაერთიანებული სამეფო

<http://www.dfes.gov.uk>  
<http://www.universitiesuk.ac.uk>  
<http://www.scop.ac.uk>  
<http://www.universities-scotland.ac.uk>  
<http://www.hew.ac.uk>  
<http://www.aut.org.uk>  
<http://www.srhe.ac.uk>  
<http://www.ucas.ac.uk>  
<http://www.naric.org.uk>  
<http://www.unesco.org/iau/cd-data/gb.rtf>  
<http://www.ox.ac.uk/>  
[http://www.clp.ox.ac.uk/postgrad/Handbook2003\\_4.html#\\_Toc40326299](http://www.clp.ox.ac.uk/postgrad/Handbook2003_4.html#_Toc40326299)  
<http://www.ling-phil.ox.ac.uk>  
<http://www.admin.ox.ac.uk/pubs/lectures/>

#### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

<http://www.unesco.org/iau/cd-data/de.rtf>  
[www.smwk.de/gesetze/hrg](http://www.smwk.de/gesetze/hrg)  
<http://www.bmbf.de>  
<http://www.kmk.org>  
<http://www.hrk.de>  
<http://www.blk-bonn.de>  
<http://www.daad.de>  
<http://www.hochschulverband.de>

<http://www.akkreditierungsrat.de>  
[www.uni-muenchen.de](http://www.uni-muenchen.de)  
<http://studenten.verwaltung.uni-muenchen.de/download/humbiol.htm>  
[http://recht.verwaltung.uni-muenchen.de/satzung/fak\\_07/07me-orr.htm](http://recht.verwaltung.uni-muenchen.de/satzung/fak_07/07me-orr.htm)

### უნგრეთი

<http://www.unesco.org/iau/cd-data/hu.rtf>  
<http://www.euroeducation.net/prof/hungarco.htm>  
<http://www.om.hu>  
<http://www.mta.hu>  
<http://www.fksz.huninet.hu>  
<http://www.hac.huninet.hu>  
<http://www.naric.hu>  
<http://www.eurydice.org/Eurybase/Application/frameset.asp?country=HU&language=EN>  
<http://www.earcmn.org/html/eng/education/hungary.html>  
<http://www.bme.hu/en/edu/index.html>  
[http://www.wds.worldbank.org/servlet/WDSContentServer/WDSP/IB/1998/01/30/000009265\\_3980312102327/Rendered/INDEX/multi0page.txt](http://www.wds.worldbank.org/servlet/WDSContentServer/WDSP/IB/1998/01/30/000009265_3980312102327/Rendered/INDEX/multi0page.txt)  
<http://www2.mta.hu/index-eng.html>

### სლოვენია

<http://www.eurydice.org/Eurybase/Application/frameset.asp?country=SI&language=EN>  
<http://www.eurydice.org/>  
[http://www.mszs.si/slo/ministrstvo/organi/solstvo/enake\\_moznosti/pdf/dev\\_of\\_education.pdf](http://www.mszs.si/slo/ministrstvo/organi/solstvo/enake_moznosti/pdf/dev_of_education.pdf)  
[www.euroeducation.net](http://www.euroeducation.net)  
<http://www.mszs.si>  
<http://www.uni-mb.si>  
<http://www.mszs.edus.si>  
<http://www.mszs.si/eng/education/system/higher.asp>  
[http://www.see-educoop.net/education\\_in/pdf/devlpm-of-high-edu-slo-enl-t05.pdf](http://www.see-educoop.net/education_in/pdf/devlpm-of-high-edu-slo-enl-t05.pdf)  
<http://www.lsu.edu/reillycenter/Why%20Is%20Education%20Reform%20so%20Hard.pdf>  
<http://www1.worldbank.org/education/globaleducationreform/pdf/Framework%20Eval%20Cur%20Ref%20in%20Slovenia.pdf>  
<http://www.eurodoc.net/activities/eurodoc2004/questionnaires/Slovenia.pdf>  
<http://www.bologna-berlin2003.de/pdf/Slovenia.pdf>

### ლატვია

<http://www.unesco.org/iau/cd-data/lv.rtf>  
[www.lu.lv](http://www.lu.lv)  
[www.rtu.lv](http://www.rtu.lv)  
[www.cs.llu.lv](http://www.cs.llu.lv)  
[www.aml.lv](http://www.aml.lv)

[www.dau.lv](http://www.dau.lv)  
[http://www.latinst.lv/li\\_eng\\_facts.htm](http://www.latinst.lv/li_eng_facts.htm)  
<http://www.wes.org/ewenr/03Sept/Latvia.htm>  
[http://www.latinst.lv/li\\_eng\\_facts.htm](http://www.latinst.lv/li_eng_facts.htm)  
[http://www.aic.lv/rec/HE\\_2002/HE\\_LV/ed\\_sys/high\\_ed.htm#Basic%20vocational%20education](http://www.aic.lv/rec/HE_2002/HE_LV/ed_sys/high_ed.htm#Basic%20vocational%20education)  
[http://www.aic.lv/rec/HE\\_2002/HE\\_LV/ed\\_sys/ed\\_sch.htm](http://www.aic.lv/rec/HE_2002/HE_LV/ed_sys/ed_sch.htm)  
<http://www.aic.lv/ace>

### ლიტვა

<http://www.skvc.lt/old/wwwenicnari/hes.htm>  
<http://www.bibl.u-szeged.hu/oseas/lithedu.html>  
<http://www.euroeducation.net/prof1/lithuaco.htm>  
<http://www.unesco.org/iau/cd-data/lt.rtf>  
[www.aic.lv/rec/LV/new\\_d\\_lv/Latvija/Lietuva.do](http://www.aic.lv/rec/LV/new_d_lv/Latvija/Lietuva.do)  
<http://www.bologna-berlin2003.de/pdf/Lithuania.pdf>  
<http://www.drs.cr.vu.lt/english/>  
<http://www.tspmi.vu.lt/?lang=en&cont=phd>

### ესტონეთი

[www.ekak.archimedes.ee/Korgharidusstandard\\_inglise\\_keeles.htm](http://www.ekak.archimedes.ee/Korgharidusstandard_inglise_keeles.htm)  
<http://test.ebs.ee/index.php?id=634>  
<http://www.euroeducation.net/prof/estonco.htm>  
[www.tpu.ee/editmode/english/studies/regStudies](http://www.tpu.ee/editmode/english/studies/regStudies)  
<http://www.tpu.ee/editmode/english/studies/system.html>  
<http://www.internationalgraduate.net/estonia.htm>  
<http://www.ibe.unesco.org/international/ICE/natrap/Estonia.pdf>  
[www.bologna-berlin2003.de/pdf/Estonia.pdf](http://www.bologna-berlin2003.de/pdf/Estonia.pdf)  
<http://www.cfh.lviv.ua/seminar2/Aarna.htm>  
[www.ut.ee/english/structure](http://www.ut.ee/english/structure)  
[www.tpu.ee/editmode/english/studies/regDoctor.pdf](http://www.tpu.ee/editmode/english/studies/regDoctor.pdf)  
<http://www.cfh.lviv.ua/seminar2/Aarna.htm>  
<http://www.esis.ee/ist2000/einst/culture/education.htm#Higher%20education>

### რუსეთის ფედერაცია

<http://www.unesco.org/iau/cd-data/ru.rtf>  
<http://web.vrn.ru/aspirant/docvvak.htm>  
<http://www.main.vsu.ru/sci/aspir/PR814.html>  
<http://www.msu.ru/entrance/doct.html>





## საქართველო

[www.unesco.org/iau/cd-data](http://www.unesco.org/iau/cd-data)

[www.acnet.ge/ses](http://www.acnet.ge/ses)

[www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)

## დანართი I

### პროექტის განხილვაში მონაწილე ექსპერტთა სია

|    |                   |   |
|----|-------------------|---|
| 1  | ლიკა ღლონტი       | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;<br>PhD Concept Paper პროექტის კოორდინატორი |
| 2  | მარინე ჩიტაშვილი  | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი   |
| 3  | ირაკლი მაჩაბელი   | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო   |
| 4  | ლელა მაისურაძე    | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო   |
| 5  | ჯემალ სოლოდაშვილი | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  |
| 6  | გია ჟორჟოლიანი    | აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი   |
| 7  | მამუკა ბიჭაშვილი  | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  |
| 8  | შალვა ნაჭყებია    | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  |
| 9  | თამაზ კუპატაძე    | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  |
| 10 | ნანა ფრანგიშვილი  | ენისა და კულტურის უნივერსიტეტი  |
| 11 | ირინე კვაჭაძე     | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი   |
| 12 | შალვა მაჭავარიანი | კავკასიის ბიზნესის სკოლა  |
| 13 | ბორის ლეჟავა      | კავკასიის ბიზნესის სკოლა  |

## დანართი II

### *პროფესორი ბარი პარსონსონი*

*ახალი ზელანდია, ვაიკატოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, 1990-1995წწ., სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ექსპერტი 2000-2005*

### **საოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ალტერნატივები: დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს აკადემიური ხარისხების მოდელები**

#### **1. სადოქტორო პროგრამისთვის საჭირო აკადემიური და ორგანიზაციული სტრუქტურები:**

სადოქტორო პროგრამების განხორციელებისათვის საჭიროა ადმინისტრაციული და აკადემიური სტრუქტურების შექმნა უნივერსიტეტის სხვადასხვა დონეზე, რათა დაკმაყოფილდეს დოქტორანტების, აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის მენეჯმენტის მოთხოვნები. ამ სამსახურმა უნდა უზრუნველყოს დოქტორანტურაში მიღების სტანდარტებისა და აკადემიური მოთხოვნების შემუშავება, დოქტორანტის მუშაობის პროცესის მონიტორინგი, ხელმძღვანელების სათანადო კვალიფიკაცია და ხელმძღვანელობის სტანდარტები, კვლევის ეთიკის დაცვა, გამოცდების პირობების დაკმაყოფილება და სხვა მოთხოვნების შესრულება. რამდენადაც ფილოსოფიის დოქტორი (PhD) უნივერსიტეტის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხია, უნივერსიტეტის ავტორიტეტის შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შეირჩეს მხოლოდ საუკეთესო კანდიდატები, შერჩევა განხორციელდეს დამსახურების საფუძველზე და რომ მათ მიერ დოქტორის აკადემიურ ხარისხზე მუშაობის პერიოდში დაკმაყოფილდეს აკადემიური პროგრამისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უმაღლესი სტანდარტები.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურები ზოგი ნიშნის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან. ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ბრიტანეთის მოდელში დოქტორის ხარისხი განიხილება როგორც ზოგადად საუნივერსიტეტო ხარისხი, მიღების, ხელმძღვანელობისა და გამოცდების საერთო სტანდარტებით ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და ერთი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოთი – უმაღლესი ხარისხების კომიტეტით.

ამისგან განსხვავებით აშშ-ში სადოქტორო ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და ფაკულტეტებზე, თუმცა არსებობს ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც საერთოა ყველასათვის. სადოქტორო ხარისხის ხელმძღვანელობა გადანაწილებულია დოქტორანტურებზე შესაბამისი ფაკულტეტებისა და განყოფილებების მიხედვით. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორანტურამ შეიძლება უხელმძღვანელოს სადოქტორო პროგრამას სოციოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ისტორიაში, პოლიტოლოგიაში, ფილოსოფიაში, ენებში, ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ასევე, საბუნებისმეტყველო და გამოყენებით მეცნიერებათა დოქტორანტურამ შეიძლება უხელმძღვანელოს სადოქტორო პროგრამებს ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, გარემოს დაცვაში და გეოლოგიაში, საინჟინრო, კომპიუტერულ მეცნიერებაში და გამოყენებით მათემატიკაში.

ქვემოთ მოყვანილია სადოქტორო პროგრამების მენეჯმენტისა და ხარისხის უზრუნველყოფისადმი წაყენებული ძირითადი ორგანიზაციული მოთხოვნები. ისინი წარმოადგენს დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მოდელების გაერთიანებას. პირველში (მაგალითი ა.) ნაჩვენებია თუ როგორ მოქმედებს უმაღლესი ხარისხების კომიტეტი დიდ ბრიტანეთში, მეორეში (მაგალითი ბ.) განხილულია ფაკულტეტისა და სასწავლო დაწესებულების პასუხისმგებლობა, რომელიც მოქმედებს როგორც დიდი ბრიტანეთის, ასევე აშშ-ს მოდელში, ხოლო მესამეში (მაგალითი გ.) მოცემულია ვალდებულებები კათედრების დონეზე. ყველა სადოქტორო პროგრამა, მოუხედავად მოდელისა, ეყრდნობა ეფექტურ და ანგარიშვალდებულ სისტემას, მკაფიო დებულებებსა და მკაცრ განხორციელებას და მხარდაჭერას აკადემიური და მმართველი პერსონალის მხრიდან, რომელიც ერთობლივად მუშაობს სპეციალისტების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

**ა) უნივერსიტეტის ადმინისტრირება: ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების დებულებები და ხარისხის უზრუნველყოფა შესაბამისი კომიტეტის მიერ (სამეცნიერო სამუშაოებზე პასუხისმგებელი ვიცე-რექტორის თანამშრომლობით)**

- დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში ეს კომიტეტი პასუხისმგებელია სადოქტორო ხარისხისადმი ზოგადი მოთხოვნების წაყენებაზე, მიღების, ხელმძღვანელობისა და გამოცდების ჩატარების სტანდარტების, უნივერსიტეტის, სასწავლო დაწესებულების, ფაკულტეტისა და კათედრის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფისა და ანგარიშგების მოთხოვნების ჩათვლით.
- ადგენს დებულებებს აკადემიური ხარისხისათვის და იღებს ანგარიშებს სასწავლო დაწესებულების, ფაკულტეტის და კათედრის კომიტეტებისგან დოქტორანტებსა და სადოქტორო ხარისხებთან დაკავშირებით.
- ადგენს და მონიტორინგს უწევს მენეჯმენტს უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და კათედრების დონეზე დოქტორანტთა მიღების და სამუშაოს მიმდინარეობის და დამთავრების მოთხოვნების განხორციელებისა და აღრიცხვისთვის, და გამოცდების შედეგებისა და დოქტორანტების გამოშვების აღრიცხვისთვის.
- ადგენს მოთხოვნებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა შესრულდეს სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის და კათედრების დონეზე დოქტორანტების ხელმძღვანელებისა და გამომცდელების შერჩევის, დანიშვნისა და დამტკიცებისთვის.
- ადგენს და მონიტორინგს უწევს სამეცნიერო-კვლევითი ეთიკის კომიტეტების მუშაობას სასწავლო დაწესებულებებისა და კათედრების დონეზე სამეცნიერო-კვლევითი თემების განხილვასა და დამტკიცებასთან მიმართებაში, სადოქტორო თემების ჩათვლით, რომლებიც შეეხება ადამიანებთან ან ცხოველებთან დაკავშირებულ კვლევებს. სამეცნიერო-კვლევითი ეთიკის კომიტეტები ანგარიშვალდებულია აკადემიური ხარისხების კომიტეტის წინაშე.
- აყალიბებს სადოქტორო კომიტეტებს სასწავლო დაწესებულებებსა და ფაკულტეტებზე, რომელთა ფუნქციაა ხელმძღვანელობა და ანგარიშგება უმაღლესი აკადემიური ხარისხების კომიტეტის წინაშე.

- ადგენს პროცედურებს, რომლებიც სასწავლო დაწესებულებებისა და ფაკულტეტების სადოქტორო კომიტეტებისგან მოითხოვს მონიტორინგსა და ანგარიშგებას ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტის წინაშე კათედრების მუშაობასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს კანდიდატების შერჩევის, ხელმძღვანელობის სტანდარტების შესრულებას, გამოსაშვები მოთხოვნების შესრულებას დოქტორანტების მიერ და გამოცდების სტანდარტების შესრულებას.
- ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს უნივერსიტეტი ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ შეამოწმოს ნებისმიერი საკითხი სადოქტორო ხარისხის დებულებებსა და შესრულებასთან დაკავშირებით და შემდეგ შედეგები მოახსენოს აკადემიურ საბჭოს.
- სისტემატურად აბარებს ანგარიშს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სრულ აკადემიურ მართვაზე.

**ბ) ფაკულტეტის ან სასწავლო დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურები: მენეჯმენტი, მონიტორინგი და ანგარიშგება სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტის მიერ (ფაკულტეტის დეკანის თაემჯდომარეობით)**

- ამტკიცებს სასწავლო დაწესებულების, ფაკულტეტის და კათედრების სტანდარტებს მიღებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომიტეტის პროცედურებს და ხელმძღვარელობისა და გამოცდების სტანდარტებს. ამის თაობაზე ანგარიშს აბარებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს.
- ხელმძღვანელობს და მეთვალყურეობს დოქტორანტების მიღებასა და სადისერტაციო თემების დამტკიცებას (სამეცნიერო თემის ეთიკური განხილვისა და მიზანშეწონილობის ჩათვლით), აღრიცხავს კანდიდატების წინსვლას აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესრულების გზაზე, და ამტკიცებს მათ მიერ გამოცდების ჩაბარებასა და დამთავრებას. ჩვეულებრივ, სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს ამ ფუნქციის შესრულებაში ეხმარება ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.
- ნიშნავს სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ეთიკის კომიტეტის წევრებს და ამტკიცებს კათედრების სამეცნიერო-კვლევითი ეთიკის კომიტეტის კანდიდატებს. იღებს ამ კომიტეტებისგან მოხსენებებს მათი მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ.
- ამტკიცებს და ნიშნავს კათედრების მიერ დასახელებულ ხელმძღვანელებსა და გამომცდელებს (გარე გამომცდელების ჩათვლით), მონიტორინგს უწევს მათ საქმიანობას და უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილებასა და შენარჩუნებას. ჩვეულებრივ, ხელმძღვანელად და გამომცდელად დანიშვნის კრიტერიუმებია კანდიდატის მიერ არჩეულ სფეროში აქტიური სამეცნიერო კვლევა, სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციები, და დოქტორანტების ხელმძღვანელობის კომპეტენციისა და მათი პროექტების წარმატებით დამთავრების მტკიცებულება.
- იკვლევს პრეტენზიებს კანდიდატების, ხელმძღვანელების და გამომცდელების საქმიანობასთან დაკავშირებით და ხელმძღვანელობისა



და გამოცდების პროცედურებთან დაკავშირებით. შედეგების შესახებ მოახსენებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს, კათედრის გამგეს, ხელნძღვანელ(ებ)ს და კანდიდატს.

- ამტკიცებს კათედრების მიერ რეკომენდირებულ საგამოცდო კომისიებს ყოველი კონკრეტული კანდიდატის შესაფასებლად.
- უზრუნველყოფს, რომ გარე გამომცდელებს გააჩნდეთ სათანადო კვალიფიკაცია და კომპეტენცია კანდიდატის მიერ არჩეულ სფეროში და იღებს გარე გამომცდელების ანგარიშებს საკანდიდატო გამოცდამდე. გარე გამომცდელები, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ სხვა უნივერსიტეტის უფროს მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც კომპეტენტურები არიან დისციპლინაში და კანდიდატის მიერ არჩეულ სფეროში. ახალ ზეღანდიაში (რომელიც დიდი ბრიტანეთის მეთოდს იყენებს) ყოველთვის არის ერთი საერთაშორისო გამომცდელი მაინც საზვარგარეთის ქვეყნის უნივერსიტეტიდან და ერთი ადგილობრივი გამომცდელი ახალი ზეღანდიის სხვა უნივერსიტეტიდან. საერთაშორისო გამომცდელი ჩვეულებრივ წარმოადგენს წერილობით მოხსენებას და კითხვებს კანდიდატისთვის, მაგრამ არ ესწრება გამოცდას. ადგილობრივი გარე გამომცდელი ჩვეულებრივ ესწრება გამოცდას. ეს მოთხოვნები გამოწვეულია უნივერსიტეტების სიმცირით და ფილოსოფიის დოქტორის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების ნებისმიერ დროს შესრულების აუცილებლობით.
- დიდი ბრიტანეთის მოდელით, ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი ან სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტი გამოყოფს თავის ერთ-ერთ წევრს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესასრულებლად. თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს გამოცდის კანონიერება და სამართლიანობა და იმ გარე გამომცდელის კითხვების დასმა, რომელიც არ ესწრება გამოცდას. თავმჯდომარე აგრეთვე ვალდებულია ჩაიწეროს გამომცდელების მსჯელობა კანდიდატთან დაკავშირებით და წარუდგინოს სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს და ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს ანგარიში კანდიდატისა და მისი გამომცდელის და გამოცდის შედეგის შესახებ.
- დიდი ბრიტანეთის მოდელით, სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტი სისტემატურად წარუდგენს ანგარიშებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს და სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სასწავლო საბჭოს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მას აკისრია.

**გ. კათედრების ადმინისტრაციული დებულებები: სტანდარტების შესრულებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა**


- კათედრის გამგე და კათედრის პერსონალი უზრუნველყოფს ხარისხის მაძიებელი კანდიდატის სათანადოდ შეფასების განხორციელებას, დამსახურებისამებრ შერჩევას და მათ მიერ შესაბამისი უნივერსიტეტის ან სასწავლო დაწესებულების ან ფაკულტეტის კომიტეტის მიერ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მათ აგრეთვე უნდა უზრუნველყონ მისაღები მოთხოვნების შესრულება კათედრის მიერ. კათედრის გამგე მიღების შესახებ განაცხადს დასამტკიცებლად გადაუგზავნის




- ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს ან სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს – გააჩნია როგორც ორგანიზებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.
- კანდიდატის სამეცნიერო თემა საწყისი დამტკიცებისთვის გადაეგზავნება კათედრის სანეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ეთიკის კომიტეტს, შემდეგ კი საბოლოო დამტკიცებისთვის - სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის ეთიკის კომიტეტს. ამ კომიტეტების გადაწყვეტილების შესახებ მოხსენდება ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს, სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს, კათედრის გამგეს და კანდიდატს და მის ხელმძღვანელ(ებ)ს.
  - კათედრის გამგე ამტკიცებს ხელმძღვანელების კანდიდატურებს და ნიშნავს კანდიდატის ხელმძღვანელებს. ჩვეულებრივ, აკადემიური პერსონალი გამოკითხავს ხელმძღვანელობის გაწევის მსურველებს და წინასწარ შეუთანხმდება დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელებს ყოველი წარდგენა დასამტკიცებლად ეგზავნება ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს ან სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს.
  - ხელმძღვანელები და დოქტორანტები ერთობლივად აგებენ პასუხს კათედრის გამგესთან კანდიდატის წინსვლის შესახებ და ხარისხის მიმართ წაყენებული სხვადასხვა მოთხოვნების შესრულებაზე. კათედრის გამგე სისტემატურად წარუდგენს მოხსენებებს მიმდინარეობის შესახებ სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას აწვდის ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს.
  - ნებისმიერი მოთხოვნა სადოქტორო კვლევის ხანგრძლივობის ან შინაარსის შეცვლის თაობაზე ხელმძღვანელმა უნდა წარუდგინოს კათედრის გამგეს, რომელმაც უნდა მიიღოს თანხმობა დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტისგან ან ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტისგან – როგორც ითვალისწინებს დებულება.
  - კანდიდატსა და მის ხელმძღვანელს შორის დავის შემთხვევაში კათედრის გამგე აცნობებს შესაბამის კომიტეტს (სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს ან ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს), არკვევს საქმის ვითარებას და აცნობებს კომიტეტს. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტი ან ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი თავად ეცნობა საქმის ვითარებას და შედეგებს მოახსენებს აკადემიურ საბჭოს, კათედრის გამგეს, ხელმძღვანელ(ებ)ს და კანდიდატს.
  - კანდიდატის მიერ ხარისხისადმი წაყენებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ (დისერტაციის ჩათვლით) ხელმძღვანელი მოელაპარაკება კათედრის გამგეს საგამოცდო კომისიის წევრების – მათ შორის გარეშე წევრების – დამტკიცების თაობაზე. კათედრის გამგე წევრების წარდგინებას დასამტკიცებლად უგზავნის სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტს ან ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს, და, ხელმძღვანელთან და კანდიდატთან ერთად, ნიშნავს გამოცდის დღეს. ეს უნდა ეცნობოს კომიტეტს (სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო

- კომიტეტს ან ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტს), რომელიც ვალდებულია დანიშნოს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და აწარმოოს გამოცდის ზედამხედველობა და ანგარიშგება.
- ხარისხის დაცვის შემდეგ კათედრის გამგემ და ხელმძღვანელ(ებ)მა უნდა უზრუნველყონ საჭირო დოკუმენტების შევსება და სასწავლო დაწესებულების/ ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტის ან ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტისთვის მათი გადაგზავნა, აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ კანდიდატის ოფიციალურად ინფორმირება შედეგების შესახებ და ხარისხის დაცვის შესახებ.

**დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციული მოდელის სქემატური გამოსახულება (სრული სქემა)**



### აშშ მოდელის სქემატური გამოსახულება (ქვემოთ)



დიდი ბრიტანეთის მოდელი შეიძლება შეიცავდეს ზემოთ მოყვანილი სქემის ყველა გრაფას, მაშინ როდესაც აშშ-ს მოდელი ჩვეულებრივ მხოლოდ ქვემოთ ნაჩვენებ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს იყენებს ფაკულტეტისა და კათედრის დონეზე. აშშ-ს მოდელში, სასწავლო დაწესებულების/ ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტებს (ან დოქტორანტურას) გააჩნიათ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი ხარისხების კომიტეტის დამატებითი ფუნქცია. აშშ უნივერსიტეტის სენატს იგივე ფუნქცია გააჩნია, რაც დიდი ბრიტანეთის მოდელის აკადემიურ საბჭოს.

### 2. სადოქტორო ხარისხის პროგრამების მოდელები:

ა) დიდი ბრიტანეთის მოდელი: (გამოიყენება ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების უმეტესობაში)

- დიდ ბრიტანეთში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი წმინდა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა. აკადემიური ან სამეცნიერო-კვლევითი პროფესიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის ქონას. დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში ანიჭებენ სხვა, უფრო მაღალ სადოქტორო წოდებას, ვიდრე ფილოსოფიის დოქტორია, მაგ. მეცნიერებათა დოქტორი (D.Sc) ან ლიტერატურის დოქტორი (D.Litt), პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოს აღიარების ნიშნად ან მეცნიერთა დამსახურების აღსანიშნავად ან ზოგადად, საზოგადოებრივი წვლილისთვის, რაც ფილოსოფიის დოქტორის მოდელის ფარგლებს გარეთაა და არ გულისხმობს გამოცდების ჩაბარებას და ა.შ.
- დოქტორანტურაში მისაღებად, პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი და საკუროსო სამუშაოსა და კვლევითი პროექტის მინიმალური შეფასება 75% (B+). მიღებისას მთავარი კრიტერიუმია აკადემიური დამსახურება.

- მისაღებ მოთხოვნებს შორისაა კარგი განათლება კანდიდატის არჩეულ დისციპლინაში, თეორიის, კვლევის გეგმისა და მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზის და კვლევითი პროექტების გამოცდილების დემონსტრირების ჩათვლით (მაგ. მაგისტრის ნაშრომის თეზისები ან მნიშვნელოვანი კვლევითი პროექტი).
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო დოქტორანტის მიერ უნდა ჩატარდეს დამოუკიდებლად; დაგეგმილ კვლევით სამუშაოს უნდა გააჩნდეს არსებითი თეორიული საფუძველი და მნიშვნელოვანი კვლევითი ლიტერატურა, რომელიც ადასტურებს პროექტის მეცნიერულ მნიშვნელობას და მიზანშეწონილობას.
- კვლევით პროექტს უნდა გააჩნდეს საკმარისი მოცულობა და მასშტაბები, რომ კანდიდატმა მის დასრულებას მოანდომოს 2 წელი მაინც, მაგრამ არა უმეტეს 4 წლისა.
- ჩვეულებრივ, კვლევით სამუშაოს ხელმძღვანელობს 2 პროფესორი, რომელთაგან ერთერთი მაინც უნდა იყოს უფროსი და გამოცდილი მეცნიერ-მუშაკი და გააჩნდეს კვლევითი სამუშაოები და პუბლიკაციები კანდიდატის მიერ შერჩეულ კვლევით სფეროში. ხელმძღვანელების ძირითადი მოვალეობაა კვლევის წარმართვა. ისინი სისტემატურ შეხვედრებზე – ჩვეულებრივ, კვირაში ერთხელ, ხვდებიან კანდიდატს, უსახავენ პრობლემებს და უწევენ კონსულტაციებს. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ნამუშაოვარი უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, ხოლო კანდიდატმა გამოიმუშავოს მისი წარმატებით დამთავრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და ცოდნა. მათ უნდა მოითხოვონ დისერტაციის ვერსიის წარდგენა მისი დამუშავების პროცესში და უზრუნველყონ სიტყვიერი და წერილობითი კავშირი კანდიდატთან შეხვედრებისას. ისინი აცნობებენ დოქტორანტს, თუ როდის მიაღწევს დისერტაცია ისეთ სტანდარტებს, რომ შესაძლებელი იქნება მისი დაცვაზე (გამოცდებზე) წარდგენა.
- გამოცდებზე საჭიროა ხელმძღვანელების და კათედრის სულ ცოტა ერთი კვალიფიცირებული თანამშრომლის დასკვნები, სულ ცოტა ერთი გარეშე გამომცდელი, ჩვეულებრივ – სხვა უნივერსიტეტიდან. კანდიდატს უტარდება ზეპირი გამოცდაც, რომლის თავმჯდომარესაც ნიშნავს ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი, ჩვეულებრივ – კომიტეტის წევრი ან სასწავლო დაწესებულების/ ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტის წევრი – გააჩნია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პროცედურებს. ზეპირი გამოცდა არ არის საჯარო, ესწრებიან მხოლოდ თავმჯდომარე, გამომცდელები და კანდიდატი. გამოცდა გრძელდება მაქსიმუმ ორ საათს.
- სტატუსის გამო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ზედამხედველობას უწევს არა უბრალოდ სასწავლო დაწესებულების ან ფაკულტეტის, არამედ თავად უნივერსიტეტის კომიტეტი. უნივერსიტეტის ყველა დაწესებულებაში ფილოსოფიის დოქტორობის პროგრამის ყველა ასპექტის ხელმძღვანელობაზე, მენეჯმენტზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი. შესაძლებელია ზოგიეთი უფლების დელეგირება სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტებზე, რომელიც ანგარიშვალდებულია ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტის წინაშე.

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხი და სტანდარტების შესრულება და შენარჩუნება. იგი ქმნის სათანადო ადმინისტრაციულ სტრუქტურებს აკადემიური ხარისხის, ხელმძღვანელებისა და კანდიდატის მხარდასაჭერად.
- ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე მომუშავე დოქტორანტებს შესაძლოა დაენიშნოთ სასწავლო სტიპენდია, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისთვის განსაზღვრული სტიპენდია და/ან მათი ხელმძღვანელების მიერ მოპოვებული გრანტები კვლევითი სამუშაოების ჩასატერებლად.

**ბ) დიდი ბრიტანეთის პროფესიონალური სადოქტორო ხარისხის მოდელი:**

- დიდ ბრიტანეთში მრავალი წლის განმავლობაში მიღებული იყო პროფესიონალური სადოქტორო ხარისხები სამართალმცოდნეობაში (LLD), მედიცინასა (MD) და რელიგიაში (DD). 1990 წლიდან ხდება ხარისხების მინიჭება სხვა პროფესიულ სფეროებშიც – როგორც კლინიკური და პედაგოგიური ფსიქოლოგია (Psy.D) და განათლების მართვა (Ed.D). ეს პროფესიონალური დოქტორანტურები არ ამზადებს კანდიდატს აკადემიური ან კვლევითი კარიერისთვის – პირიქით, ითვალისწინებს, რომ კანდიდატები უფრო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ თავის პროფესიაში გადრმავეული სწავლისა და კვლევის გზით.
- ეს არ არის წმინდა კვლევითი ხარისხები – ისინი ხშირ შემთხვევაში გულისხმობს ერთდროულად პროფესიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს მაღალ დონეზე. ტიპურად, დისერტაცია კონცენტრირებულია უფრო მეტად პროფესიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, ვიდრე თეორიულზე. ხშირად ამ ხარისხისთვის დისერტაციაში კვლევითი კომპონენტის მოცულობა შინაარსის 67% შეადგენს, ფილოსოფიის დოქტორისთვის კი 100%. პროფესიული დოქტორის ხარისხის სტატუსი ოდნავ ჩამორჩება ფილოსოფიის დოქტორის სტატუსს, მაგრამ ისეთივე მნიშვნელოვანია პროფესიონალური სწავლების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.
- მიღების სტანდარტები მაღალია და მოითხოვს ისეთივე მონაცემებს, როგორც მოითხოვება ფილოსოფიის დოქტორის კანდიდატებისთვის, ანუ 75% ან მეტი საკვალიფიკაციო ქულები. ზოგიერთი პროგრამისთვის მისაღები მოთხოვნები წინაპირობების სახით მოიცავს მნიშვნელოვანი პროფესიონალური ან პრაქტიკული გამოცდილების დადასტურებასაც. უპირატესობა მოთხოვნებს შორის ენიჭება გავლილ მაგისტრატურას, როგორც პროფესიონალური კვლევითი გამოცდილების, ასევე პროფესიონალური პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით. ამის მიზანია უფროსი პროფესორ-მასწავლებლების წახალისება, რომ აიმაღლონ ცოდნა და კვალიფიკაცია.
- მოთხოვნებს შორისაა საკურსო თემის და/ან პრაქტიკული პროფესიონალური განვითარების დონისძიებების წარმატებით დასრულება, და დისერტაციის დაცვა პროფესიის შესაბამის საკითხზე. დისერტაცია შესაძლოა მოიცავდეს ორიგინალურ კვლევას, მაგრამ ძირითადი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს უფრო პროფესიონალური ცოდნის, უნარისა და ინტუიციის გადრმავება-გაფართოებაზე, ვიდრე საგნის სამეცნიერო და პრაქტიკულ ცოდნაზე.



- პროფესიონალური განვითარებისა და კვლევის ხელმძღვანელობა და გამოცდების ჩატარების მოთხოვნები ტიპიურად გულისხმობს კათედრის აკადემიური პერსონალისა და დარგის უფროსი პროფესიონალების მონაწილეობას, რომლებიც მოწვეულები არიან კათედრაზე.
- დისერტაციის ხელმძღვანელობისა და გამოცდების დებულებები იგივეა, რაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის კანდიდატებისთვის და ხარისხს ასევე ანიჭებს ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი და სასწავლო დაწესებულების/ ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტი.

**გ) სადოქტორო ხარისხის პროგრამის აშშ მოდელი:**

- აშშ-ში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი უნივერსიტეტის უმაღლესი ხარისხია კვლევითი მუშაობისთვის. იგი აკადემიური ან სამეცნიერო-კვლევითი კარიერის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა. აშშ-ს მოდელი გულისხმობს დოქტორანტურის გავლას მაგისტრის წოდების მისაღებად და დაწინაურებას - მაგისტრის დისერტაციის და სხვა წინასწარი საკურსო სამუშაოს ან დავალებული ამოცანების დამთავრების შემდეგ – ფილოსოფიის დოქტორის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას “კომპლექსური” გამოცდის შემდეგ. კანდიდატს “კომპლექსური” გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეუძლია გააგრძელოს და დაამთავროს სადისერტაციო თემაზე მუშაობა და ჩააბაროს ფილოსოფიის დოქტორის საბოლოო ზეპირი გამოცდა.
- მაგისტრის ხარისხის პროგრამებზე მისაღები სტანდარტები განსხვავებულია აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მაგრამ აკრედიტებული პროგრამების უმრავლესობა მოითხოვს მაღალ შეფასებას წერილობით გამოსაშვებ გამოცდაზე (GRE - ეს არის ეროვნულ დონეზე აღიარებული და დამოუკიდებლად ორგანიზებული გამოცდა, რომელიც მოიცავს როგორც საერთო აკადემიურ, ასევე დისციპლინის სპეციფიურ შეკითხვებს) და/ან მაღალ საშუალო შეფასებას – GPA 3.5 ან 4.0 საკვალიფიკაციო მისაღებ შეფასებაზე.
- მიღების სხვა კრიტერიუმები შესაძლოა მოიცავდეს პროფესორის სურვილს, რომ იყოს დოქტორანტის კონსულტანტი (ან უფროსი ხელმძღვანელი), რესურსების არსებობას კანდიდატის სასწავლო პროგრამის დასაფინანსებლად და კანდიდატის განათლების წინაპირობებს და მისწრაფებას სწავლისადმი, აგრეთვე მის, როგორც დოქტორობის პოტენციური კანდიდატის მიერ, გამოვლენილ უნარს. კანდიდატებს შესაძლოა მოსთხოვონ აკადემიური და პერსონალური რეკომენდაციები.
- აკადემიური მოთხოვნები მაგისტრატურისა და სადოქტორო პროგრამებში ტიპიურად მოიცავს სავალდებულო კურსებს თეორიაში, კვლევითი სამუშაოს გეგმას, მეთოდოლოგიას და მონაცემთა ანალიზს (სტატისტიკური პაკეტების გამოყენების ჩათვლით). ასევე მოეთხოვებათ მონაწილეების მიღება კვლევით სემინარებში და კანდიდატის აკადემიური განვითარების შესაბამისი დავალებების შესრულება. ეს უკანასკნელი შესაძლოა გულისხმობდეს ლიტერატურის მიმოხილვას, გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი ხელნაწერების სარედაქტორო რეცენზიებს, პროფესორების დახმარებას სახელმძღვანელოს შედგენასთან

დაკავშირებულ სამეცნიერო მუშაობაში და ცალკეული თავების დაწერაში, დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრის გამოქვეყნებას და პრეზენტაციას კონფერენციებზე.

- ფილოსოფიის დოქტორის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულების პროცესში დოქტორანტს მოეთხოვება გარკვეული რაოდენობის კრედიტების დაგროვება. დოქტორანტი ყოველ სემესტრში ეწერება საკურსო სამუშაოს, სამეცნიერო კვლევი სემინარების და კვლევითი პროექტის საათებზე. ჩვეულებრივ ისინი გაივლიან 8-12<sup>27</sup> სავალდებულო კრედიტს კვირაში (96-დან 144 სავალდებულო კრედიტამდე სემესტრში). ფილოსოფიის დოქტორის ხარისხისთვის შესაძლოა საჭირო იყოს 500 სავალდებულო კრედიტის გავლა, მაშინ როდესაც მაგისტრის ხარისხისთვის საჭიროა 200-250 სავალდებულო კრედიტი. კათედრისა და ფაკულტეტის (დოქტორანტურის) ადმინისტრაცია აღრიცხავს გავლილი კურსებისა და სავალდებულო დოქტორანტის მიერ მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- Ph.D კანდიდატის სტატუსის მიღება მიიღწევა “კომპლექსური” გამოცდის ჩაბარების შედეგად. ამ გამოცდის მეთოდები და ფორმები განსხვავებულია სხვადასხვა კათედრებსა და ფაკულტეტებზე. იგი შესაძლოა ითვალისწინებდეს ექვსამდე წერილობით ნაშრომს კანდიდატის დისციპლინის ზოგად და სპეციფიურ საკითხებზე ან ზეპირ გამოცდას ექვს თემაზე ან სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის ზოგად მიმოხილვას. საგამოცდო საკითხებს ადგენენ და აღნიშნავენ კანდიდატის ხელმძღვანელები, და ამტკიცებს კათედრის სადოქტორო კომიტეტი. ზოგიერთ კათედრაზე არსებობს დამტკიცებული საკითხების ჩამონათვალი, საიდანაც კანდიდატს შეუძლია აირჩიოს სასურველი საგამოცდო საკითხები. ასეთ შემთხვევაში კანდიდატის კონსულტანტმა (უფროსმა ხელმძღვანელმა) წინასწარ უნდა მოიწონოს მის მიერ არჩეული თემები.
- ყოველი კანდიდატის კონსულტანტი, უწინარეს ყოვლისა, პასუხისმგებელია მისი სწავლისა და კვლევის ხელმძღვანელობაზე. კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს კანდიდატის მიერ ხარისხის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულება. იგი კონსულტაციას უწევს ასპირანტს საკურსო სამუშაოს და სამეცნიერო-კვლევითი თემის შერჩევისას და ყოველკვირეულად ხვდება მას, რათა განახორციელოს მონიტორინგი, განიხილოს იდეები, დაუსახოს კანდიდატს აკადემიური პრობლემები დოქტორანტურის პროგრამის გავლის პროცესში. კონსულტანტი მუდმივ კონტაქტში უნდა იყოს კანდიდატთან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში და უნდა მიიღოს, წაიკითხოს და მიაწოდოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომენტარები დისერტაციის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით. კონსულტანტი აცნობებს კანდიდატს, როდესაც სადისერტაციო ნაშრომი სათანადო დონეს მიაღწევს გამოცდისთვის და მოაწივებს საბოლოო ზეპირ გამოცდას.
- საბოლოო ზეპირ გამოცდაზე დაშვებამდე კათედრა უნდა დარწმუნდეს, რომ კანდიდატმა შეასრულა წაყენებული მოთხოვნები და აცნობოს ამის

<sup>27</sup> იგულისხმება აშშ მიღებული კრედიტების სისტემა, რომელიც განსხვავდება ევროპული კრედიტების სისტემისაგან (ECTS).

- შესახებ სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის კომიტეტს (ან შესაბამის ექვივალენტურ ორგანოს, რომელსაც აშშ-ს მრავალ უნივერსიტეტში შესაძლოა ეწოდებოდეს “დოქტორანტურა” ან “კოლეჯი”).
- ფილოსოფიის დოქტორის ზეპირ გამოცდას იბარებს სასწავლო დაწესებულების/ფაკულტეტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, ჩვეულებრივ, არის კონსულტანტი; კომისიაში შედის კათედრის აკადემიური პერსონალის ოთხი წევრი და სულ ცოტა ერთი გარეშე გამომცდელი – სხვა კათედრიდან ან სხვა უნივერსიტეტიდან, რომელიც მსგავს დისპიცლინასთანაა დაკავშირებული, ან ზოგჯერ, სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური ფაკულტეტიდანაა. ზეპირი გამოცდა შეიძლება საჯაროდ ჩატარდეს, მაგრამ დამსწრე საზოგადოების შეკითხვები კანდიდატს გადაეცემა მხოლოდ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მქონე პირებისგან და თავმჯდომარის ნებართვით.
  - გამოცდის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ შეადგენს არაუმეტეს 2 საათისა. გამოცდის ბოლოს საგამოცდო კომისია მსჯელობს და გადაწყვეტილებას იწერს თავმჯდომარე, ხელს აწერს ყველა გამომცდელი და შემდეგ ეგზავნება სასწავლო დაწესებულების/ ფაკულტეტის კომიტეტს რატიფიკაციისა და ხარისხის მინიჭებისთვის. აშშ-ს მრავალ უნივერსიტეტში დოქტორანტურის დეკანი, რომელიც სასწავლო დაწესებულების/ ფაკულტეტის კომიტეტის თავმჯდომარეა, უფლებამოსილია, რომ კომიტეტის სახელით დაამტკიცოს ხარისხის დაცვა და კანდიდატის უფლება ხარისხის მიღებაზე.
  - ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე მომუშავე დოქტორანტებს შესაძლოა დაენიშნოთ სასწავლო სტიპენდია, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისთვის განსაზღვრული სტიპენდია და/ან მათი ხელმძღვანელების მიერ მოპოვებული გრანტები კვლევითი სამუშაოების ჩასატერებლად.

**დ) აშშ პროფესიონალური სადოქტორო ხარისხის მოდელი:**


- როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე აშშ-შიც პროფესიონალური სადოქტორო ხარისხი არ გულისხმობს კონცენტრირებას ორიგინალურ კვლევაზე და თეორიულ წვლილზე დისციპლინის მეცნიერულ განვითარებაში. შესაბამისად, ეს არ არის მომზადება აკადემიური ან სამეცნიერო-კვლევითი კარიერისთვის. იგი წარმოადგენს უმაღლესი დონის განათლების მიღების შესაძლებლობას, რომელიც იძლევა მოწინავე პროფესიონალურ ცოდნას და შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აშშ-ს მრავალი სადოქტორო პროგრამა ისეთ სფეროებში, როგორცაა კლინიკური და პედაგოგიური ფსიქოლოგია (Psy.D), განათლება (Ed.D), მუშაობა სოციალურ პრობლემებზე (D.SW), ექთნობა (D.N), სთავაზობს არა მარტო პროფესიონალურ სადოქტორო ხარისხს, არამედ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხსაც. პროფესიონალურ სადოქტორო ხარისხი გულისხმობს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხისგან განსხვავებულ მიდგომას კვლევისადმი და მოიცავს უფრო მეტი მოცულობის საკურსო სამუშაოებს და პროფესიონალური პრაქტიკის მოთხოვნებს.
- მიღების სტანდარტები შესაძლოა იყოს ფილოსოფიის დოქტორის კანდიდატებისთვის გათვალისწინებული სტანდარტების იდენტური ან

ოდნავ დაბალი. აქ ყურადღება გამახვილებულია პროფესიონალური განვითარებისკენ სწრაფვაზე, ნაშინ როდესაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მთავარ მიზანს წარმოადგენს მომზადება აკადემიური ან სამეცნიერო-კვლევითი კარიერისთვის. ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებში უპირატესობა ენიჭება ადრინდელ პროფესიონალურ გამოცდილებას და კვლევას ან პროფესიონალური საქმიანობის პროცესში გამომუშავებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს – ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთის პროფესიონალურ დოქტორანტურაში.


- ხელმძღვანელობასა და გამოცდასთან დაკავშირებული დებულებები ძირითადად ისეთივეა, როგორც ფილოსოფიის დოქტორისთვის, მაგრამ კათედრაზე მოწვეული კანდიდატის დარგის უფროსი პროფესიონალები, კათედრის აკადემიურ პერსონთან ერთად, შესაძლოა ჩართულ იქნენ პრაქტიკულების ხელმძღვანელობაში, პროფესიონალურ სწავლებაში და გამოცდაში.

### სადოქტორო ხარისხის საფეხურების სქემატური გამოსახულება

#### დიდი ბრიტანეთის სადოქტორო ხარისხის საფეხურები



#### აშშ სადოქტორო ხარისხის საფეხურები





### რეზიუმე და დასკვნები:

ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის პროგრამების შემუშავება მოითხოვს უნივერსიტეტისგან ყველა დონეზე ადმინისტრაციულ და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დაწესებას, რომლებიც უზრუნველყოფენ კანდიდატის მიერ მკაცრი და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესრულება-დაკმაყოფილებას. ამ მიზნის მისაღწევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მიღების, ხელმძღვანელობისა და გამოცდის პროცედურებისა და სტანდარტების დაწესების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. კვლევის თემა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკურ რეცენზიას და იყოს მოტივირებული, თეორიულად და მეთოდოლოგიურად გამართული და წვლილი შეიტანოს ცოდნის გაღრმავებაში. ამის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კანდიდატებისთვის გარეშე გამოცდის მოწვობა შეფასების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით. გარე გამოცდის ჩატარება დამსახურებული და საერთაშორისო აღიარების მქონე პროფესორების მიერ იმის საშუალებას იძლევა, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან შედარება კანდიდატის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნაწილი იყოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებში, სადაც მოცემული დარგის ექსპერტთა რაოდენობა მცირეა. ეს ბევრად ამაღლებს ნდობას უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისადმი და მისი კურსდამთავრებულებისადმი და ახდენს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის სურვილის დემონსტრირებას.

რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებები ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის დაცვის ტრადიციებში დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის. დიდი ბრიტანეთის მოდელით ეს წმინდა კვლევითი ხარისხია, სასწავლო კომპონენტის გარეშე, და მირების წინაპირობაა მაგისტრის ხარისხი. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე მუშაობის დასაწყებად დიდ ბრიტანეთში კანდიდატმა უნდა დაიწყოს სადოქტორო კვლევა და ეს ერთადერთი მიზანია ორიდან ოთხ წლამდე პერიოდისთვის; ბევრ კანდიდატს ამისთვის ექვს წლამდე დრო სჭირდება. სადოქტორო ხარისხის მენეჯმენტს ჩვეულებრივ ახორციელებს ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი, რომლის წევრები უმაღლესი სასწავლო დაწესებულების და ფაკულტეტის წარმომადგენლები არიან და რომელიც ზედამხედველობას უწევს სადოქტორო ხარისხზე მუშაობის მიმდინარეობას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სახელით. სასწავლო დაწესებულების ან ფაკულტეტის სადოქტორო კონიტეტები ჩვეულებრივ ასრულებენ კანდიდატის, ხელმძღვანელისა და გამომცდელის საწყისი სკრინინგისა და მონიტორინგის როლს. საჭიროა ხელმძღვანელის დამტკიცებისა და მონიტორინგის მკაცრი კონტროლი, რამდენადაც ოთხი წლის განმავლობაში კანდიდატებსა და ხელმძღვანელებს შორის შეიძლება წარმოიშვას უთანხმოებები და პრობლემები. ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები განუწყვეტლივ უნდა ტარდებოდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფუნქციების სათანადოდ შესრულება როგორც კანდიდატის, ასევე ხელმძღვანელის მიერ. დიდი ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია გარე გამოცდა. გარეშე გამომცდელები შეიძლება წარმოადგინოს კანდიდატის ხელმძღვანელმა, ხოლო გარე ზედამხედველობისთვის საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი.



ამის საპირისპიროდ აშშ-ში დოქტორანტურაში შესვლა მაგისტრის ხარისხის დონეზე წარმოებს და სტუდენტი, დოქტორობის კანდიდატობისკენ მიმავალ გზაზე, ასრულებს საკურსო სამუშაოს, კვლევას და სხვა აკადემიურ მოთხოვნებს. იგი მხოლოდ კომპლექსური გამოცდის ჩაბარების შემდეგ ითვლება დოქტორობის კანდიდატად და შეუძლია იმუშაოს თემაზე ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის დასაცავად და ჩააბაროს ზეპირი გამოცდა. მთლიანობაში, მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე მუშაობა მინიმუმ 4-5 წელს გრძელდება და კანდიდატების უმრავლესობას ორ წელიწადზე მეტი დრო სჭირდება სადოქტორო მოთხოვნების შესასრულებლად. აშშ-ში კათედრის კომიტეტებს მეტი დამოუკიდებლობა აქვთ, ვიდრე დიდ ბრიტანეთში და ხშირ შემთხვევებში ბაკალავრიატის შემდგომი აკადემიური ხარისხების კომიტეტი არ არსებობს, ხოლო მის ფუნქციას ასრულებს სასწავლო დაწესებულების ან ფაკულტეტის სადოქტორო კომიტეტები. გარე გამოცდა შემოიფარგლება უნივერსიტეტის სხვა კათედრის წარმომადგენლის დასწრებით. გარეშე დამსწრეს, როგორც წესი, ირჩევს კანდიდატის ხელმძღვანელი, ხოლო ამტკიცებს ასპირანტურის კომიტეტი. ასეთი პრაქტიკა უნივერსიტეტის ფარგლებში გამომცდელების შერჩევისა ხარისხის უზრუნველყოფის შედარებით დაბალ დონეს უზრუნველყოფს დიდი ბრიტანეთის მოდელთან შეფარდებით, რომელიც ნამდვილად გარე აკადემიურ შემოწმებას ითვალისწინებს.

აშშ მოდელში ნაკლებად გამოკვეთილია მაგისტრის დონიდან ფილოსოფიის დოქტორის დონეზე გადასვლა. კანდიდატი ნებისმიერ დროს უნდა ასრულებდეს საკურსო სამუშაოს მოთხოვნებს, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე მუშაობის დაწყების დროსაც და კომპლექსური გამოცდის ჩაბარების პროცესშიც. ერთადერთი მკაფიო ნიშანი მაგისტრის ხარისხიდან დოქტორის ხარისხზე გადასვლისა არის საკურსო სამუშაოების და აკადემიური მოთხოვნების შესრულება, კომპლექსური გამოცდის ჩათვლით, რომლის შემდეგაც სტუდენტი ითვლება ფილოსოფიის დოქტორობის კანდიდატად. სტუდენტები ამ მოთხოვნებს სხვადასხვა სიჩქარით ასრულებენ და მონიტორინგის პროცესი და მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უფრო რთულია, ვიდრე დიდი ბრიტანეთის მოდელში. ამან შესაძლოა შექმნას პრობლემები ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებაში და მეტადაა დამოკიდებული კათედრის იმ პერსონალის კომპეტენტურობასა და პასუხისმგებლობაზე, რომლებიც კონსულტანტების მოვალეობას ასრულებენ. ითვლება, რომ პროფესორები, რომლებიც გამოთქვამენ კონსულტანტობის სურვილს, კომპეტენტურები არიან, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ასე და სამუშაოს ვერ-შესრულებაზე რეაგირების სისტემა შეიძლება ნელი იყოს.

აშშ-ს მოდელის ერთ-ერთი უპირატესობაა მოქნილობა, რომელიც გამომდინარეობს სასწავლო კომპონენტისა და სადისერტაციო კვლევის ჩართვიდან. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს კანდიდატებს, რომ უფრო ინტენსიურად და ყოველმხრივად მოემზადოს აკადემიური ან სამეცნიერო-კვლევითი კარიერისათვის. ეს საშუალებას აძლევს მათ, რომ სათანადო ხელმძღვანელობის ქვეშ გამოიმუშაონ მომავალი კარიერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. ეს შესაძლებელია დიდი ბრიტანეთის წმინდა კვლევით მოდელშიც, მაგრამ უფრო უსისტემოდ, და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება კანდიდატის ხელმძღვანელ(ებ)ის პროფესიონალიზმზე და მისწრაფებაზე, რომ დაეხმარონ კანდიდატს კარიერისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში.

არსებითად, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს პროფესიონალური სადოქტორო მოდელები იდენტურია. ისინი გამიზნულია პროფესიონალური უნარ-ჩვევებისა და

ცოდნის მაღალ დონეზე განვითარებისკენ, მაგრამ ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება კვლევით სამუშაოზე, კერძოდ – ორიგინალურ სამეცნიერო კვლევაზე. ეს მოდელები არ ემთხვევა არსებულ მოსაზრებებს საქართველოში სადოქტორო ხარისხის პროგრამების შემუშავებასთან მიმართებაში, მაგრამ მომავალში, როდესაც უნივერსიტეტის ინტერესის სფეროში შევა გამოყენებითი ტრენინგის უზრუნველყოფა უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე ისეთ დარგებში, როგორცაა კონსულტირება ან პედაგოგიური ფსიქოლოგია, საქალაქო დაგეგმვა, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების განვითარება, სამართალმცოდნეობა და ა.შ., შესაძლოა სჭირო გახდეს ასეთი ხარისხის დასაცავად საჭირო დებულებების შემუშავება. დასავლეთის ქვეყნებში იზრდება მოთხოვნა მაღალი დონის პროფესიულ სწავლებაზე და განვითარებაზე, რასაც სთავაზობს პროფესიონალური დოქტორანტურები. ეს მოთხოვნა მოდის სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებისგან, მეწარმეებისგან და პოტენციური კანდიდატებისგან. ამიტომ სავარაუდოა, რომ საქართველოს უნივერსიტეტები ახლო მომავალში განიხილავენ ანალოგიურ ალტერნატივებს.